

**საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის
1921 წლის კონსტიტუცია**

ბათუმი 2013

II გამოცემა

სარჩევი

გიორგი პაპუაშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან	3
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი	34
საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია	37

ISBN 978-9941-0-5297-2

გამოცემა მომზადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.
საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, კ. გამსახურდიას გამზირი №8-10, ტელ. +99542270099

www.constcourt.ge

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან

შესავალი

საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციონალიზმის მყარი სისტემის ჩამოყალიბება. ამისათვის კი აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს ისეთი კონსტიტუციის არსებობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დემოკრატიული მმართველობა, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. სწორედ ამ მიზანს ისახავს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი ტრადიციები და მათ საფუძველზე შექმნილი დოკუმენტები, თანამედროვე მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებასთან ერთად, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. მათი გათვალისწინება ანმყოსა და მომავალშიც აქტუალურია, ვინაიდან კონსტიტუციის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის განვითარებისა და სრულყოფის პროცესი დღესაც არ არის დასრულებული.

ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომელსაც უკვე 90 წელი შეუსრულდა. მისი მიღებიდან მალევე საბჭოთა რუსეთის მიერ მოხდა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და, შესაბამისად, ახლად მიღებული კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა. რადგან საბჭოთა პერიოდში ამ კონსტიტუციის

ანალიზსა და შეფასებაზე ტაბუ იყო დადებული, შესაბამისად, ამ თემაზე მხოლოდ უცხოეთში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ავტორების მცირე ნაშრომებია შემორჩენილი. ამის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ, კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა პირველი ქართული კონსტიტუცია, დღევანდელი გადასახედიდან მოგვეხსენებინა მისი ანალიზი და შეფასება, კვლავ გამოგვეცა იგი და მიგვეწოდებინა ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ 1995 წლის მოქმედი კონსტიტუცია პრეამბულაშივე აცხადებს, რომ იგი ეყრდნობა სწორედ 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას. აღნიშნული კი წარმოადგენს ერთგვარ პოლიტიკურ-სამართლებრივ მემკვიდრეობითი კავშირის აღიარებას იმდროინდელსა და თანამედროვე დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებს შორის. 1921 წლის კონსტიტუცია წარმოადგენს გარკვეულ სიმბოლოს იმდროინდელი საქართველოს მისწრაფებებისა ერთიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას დამოუკიდებელი სამართლებრივი და კონსტიტუციური სივრცე არ გააჩნდა, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის ქვეშ იმყოფებოდა, კონსტიტუციის ავტორებმა მოახერხეს, შეექმნათ ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც თავისი ინდივიდუალურობითა და თანმიმდევრულობით გამოირჩეოდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კონსტიტუციებს შორის.

საპარლამენტო მმართველობის სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობის* დამკვიდრება, სიკვდილით დასჯის გაუქმება, სიტყვისა და რწმენის თავისუფლების, საყოველთაო საარჩევნო უფლების დაცვა (ქალთა და მამაკაცთა საარჩევნო თანასწორობა), ნაფიც მსაჯულთა და “ჰაბეას კორპუსის” (habeas corpus) ინსტიტუტის შემოღება და კონსტიტუციით გათვალისწინებული მრავალი სხვა დებულება თავისი პროგრესულობით გამოირჩევა არა მხოლოდ იმდროინდელ, არამედ თანამედროვე ევროპულ კონსტიტუციებს შორისაც.

ქართველი კანონმდებლების მიერ 1921 წელს მიღებული ეს დოკუმენტი თამამად შეიძლება განვიხილოთ მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ მონინავე, სრულყოფილ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ უზენაეს საკანონმდებლო აქტად. მასში ასახულია იმდროინდელ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლად გაბატონებული, ასევე, თუ ჯერ კიდევ თეორიაში არსებული, პრაქტიკაში განუხორციელებელი ყველაზე პროგრესული, სამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებები და მიმდინარეობები.

გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი ფედერალური მინისტრის ჰანს დიტრიხ – გენშერის თქმით, “უკვე მაშინ აღიარებდა იგი (1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია) ისეთ ღირებუ -

* ფორმულირება მიღებული 1921 წლის კონსტიტუციით, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გამოცემა.

ლებებს, როგორცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომლებსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა¹. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის პროექტს მაღალი შეფასება მისცეს 1920 წელს საქართველოში სტუმრობისას II ინტერნაციონალის დელეგაციის წევრებმა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი, შემდგომში დიდი ბრიტანეთის ორგზის პრემიერი რამსეი მაკდონალდსი ამ ვიზიტის შემდგომ ჟურნალ “Nation”-ის 1920 წლის 16 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ნერილში “სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში” საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა მიღწევებზე საუბრისას ასევე აღნიშნავდა: “მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას და რაც იქ ვნახე, ვისურვებდი, ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში”².

წინა ისტორია

საქართველოში სამართლებრივი კულტურა ადრეული ეტაპიდან ყალიბდებოდა. უძველესი დროიდან შექმნილი სამართლის ძეგლები აწესრიგებდნენ სამოქალაქო, საოჯახო, სისხლის სამართლისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის მნიშვნელოვან საკითხებს.

უძველესი კანონთა კრებული, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნია, იგი XI საუკუნით თარიღდება. აღნიშნული სამართლის კრებული შეიცავს სისხლის სამართლის ნორმებს, ასევე მრავალი მუხლი ეძღვნება სამართალწარმოებისა და სასამართლო მოწყობის საკითხებს.

მნიშვნელოვანი ქართული სამართლის ძეგლები შეიქმნა XIII-XIV საუკუნეებში. ამ პერიოდის სახელმწიფო-სამართლებრივი (კონსტიტუციური) ხასიათის ძეგლებიდან აღსანიშნავია მეფე გიორგი V ბრწყინვალის პერიოდში შექმნილი “ხელმწიფის კარის გარიგება”, რომელსაც თავისი უნიკალურობის გამო, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასაც კი უწოდებენ³.

ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ქართული სამართლის ძეგლია “დასტურლამალი”. მისი შექმნით მტკიცე საფუძველი დაედო სახელმწიფო სამართლის ჩამოყალიბებას⁴. იგი შედგენილი იქნა 1705-1707 წლებში ვახტანგ VI-ის მიერ. ვახტანგ VI-ის ბრძანებით გამოიცა ძველი ქართული სამართლის წიგნები ერთიან კრებულად. აღნიშნული

¹ ჰანს-დიტრიხ გენშერის შესავალი სიტყვა, ვოლფგანგ გაული, “კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში (1993-1995)”; (Wolfgang Gaul, Verfassunggebung in Georgien), 2001 Berlin Verlag Arno Spitz Gmb; IRIS Georgia, 2002 წ. გვ. 9.
² მაღაზი მაგაბერიძე, “საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება”, თბილისი, 2008, გვ. 171.
³ ვალერიან მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2005 წ. გვ. 26.
⁴ ზაზა რუხაძე, “საქართველოს კონსტიტუციური სამართალი”, ბათუმი, 1999წ. გვ. 21.

სამართლის წიგნი ასახავს იმ პერიოდში სამართლის განვითარებისაკენ აღებულ გეზს⁵. იგი ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სახელმწიფო მართვის სისტემის რეგლამენტაციას ახდენდა⁶.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, საკონსტიტუციო პროცესის განვითარებასთან ერთად, კონსტიტუციის მიღებამდე, ქართველ იურისტთა და პოლიტიკოსთა შეხედულებებზე დიდი გავლენა მოახდინეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა (სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები), რომლებიც იმ დროის არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის, არამედ სწორედ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მონიშნავ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ აზროვნებასთან იყვნენ ნაზიარებნი⁷. შესაბამისად, ვინაიდან ისინი მოდერნიზაციის, დემოკრატიისა და თვითგამორკვევის გზის მიმდევრები იყვნენ, საქართველოსაც ევროპული გზით სვლისაკენ მოუწოდებდნენ⁸.

კონსტიტუციის შეფუთვებისა და მიღების მოკლე ისტორია

საქართველოს პირველი რესპუბლიკის და შემდეგ 1921 წლის კონსტიტუციის შექმნა მსოფლიო ისტორიის საკმაოდ კრიზისულ პერიოდს დაემთხვა. იშლებოდნენ ევროპის უმსხვილესი იმპერიები – ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი, ოსმალეთის იმპერია და სხვები, რომელთა ადგილზეც ყალიბდებოდნენ უფრო მცირე “ეროვნული სახელმწიფოები”. პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ქაოსის პირობებში, უკიდურესად მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკური ძალები ეჭვქვეშ აყენებდნენ ტრადიციულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფასეულობებს, მათ შორის, იმდროინდელ დემოკრატიულ ღირებულებებსაც. მსოფლიო ომის შედეგებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მაშინდელ მსოფლიოში საკმაოდ პოპულარული გახადა სოციალისტური იდეები, ამან კი ხელი შეუწყო ჯერ კომუნისტური და შემდეგ ფაშისტურ-ტოტალიტარული რეჟიმების ჩამოყალიბებას ევროპაში. ისინი სწორედ სოციალისტურ-პოპულისტური ლოზუნგებით მოვიდნენ სახელმწიფოთა სათავეებში.

რუსეთის თითქმის საუკუნოვანი ანექსიის შემდეგ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმატებით დაგვირგვინდა პირველი რესპუბლიკის შექმნით, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გარე ფაქტორებმაც, მათ შორის, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა და საომარმა კატაკლიზმებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი საქართველოს წამყვანი პოლიტიკური ძალა, ქართველი სოციალ-დემოკრატები, რუსეთის სოციალ-დემოკრატების და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, თავიდან ორჭოფობდნენ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების მხარდაჭერისა და, შესაბამისად, კონსტიტუციის შემუშავების საჭიროებასთან დაკავშირებით.

1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოსულ დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას არ სურდა, ხელიდან გაეშვა ყოფილ იმპერიაში შემავალი ქვეყნები, მათ შორის საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ მიზნით, იმავე წლის 6 მარტს, მეფისნაცვლის მაგიერ, ამიერკავკასიაში “ნესრიგის და კანონიერების” დასამყარებლად და ამ მხარის მოსაწყობად შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი. ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება განხორციელდა და დათხოვნილ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრება, იმავე წლის 15 ნოემბერს საქართველოში ჩამოყალიბდა ე.წ. “ამიერკავკასიის კომისარიატი” (შემდგომში ა/კ).

1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის მოწვევით, გაიხსნა ა/კ-ის სეიმის სხდომა, რომლის შემადგენლობაშიც, ბოლშევიკების მიერ დათხოვნილი რუსეთის დამფუძნებელი კრების მონაწილეები, ამიერკავკასიიდან წარგზავნილი დეპუტატები შედიოდნენ. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი (მანამდე რუსეთის დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელი) კარლო ჩხეიძე. სეიმმა იმავე წლის 22 აპრილს შექმნა “ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა” და გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ა/კ-ის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იარსება მხოლოდ ერთი თვე და 4 დღე. სხვადასხვა შიდა და, განსაკუთრებით კი, საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, 1918 წლის 26 მაისს იგი სეიმმა დაშლილად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ, 1917 წლის 19-22 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა (ბოლშევიკების გამოკლებით, რომლებმაც საბჭოს ბოიკოტი გამოუცხადეს) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება (ე.წ. “ეროვნული საბჭო”), რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანიანი. ამ დროისათვის, რუსეთში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის, სამხრეთ კავკასიაში შიდა უთანხმოებებისა და გარე ფაქტორების ფონზე, სოციალ-დემოკრატებიც იზიარებდნენ ეროვნული მიმდინარეობის პოლიტიკური ჯგუფების მსოფლმხედველობას დამოუკიდებელი (და არა ავტონომიური სტატუსის

⁵ ი.სურგულაძე, “ქართული სამართლის ისტორიის წყაროები”, თბილისი, 2002, გვ. 131.

⁶ ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928.

⁷ ა. დემეტრაშვილი, ი.კობახიძე, “კონსტიტუციური სამართალი”, თბილისი, 2008, გვ. 27.

⁸ სტეფან ჯონსი, “სოციალიზმი ქართულ ფერებში”, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა, კემბრიჯი, ლონდონი, 2005; Stephen F. Jones, Socialism in Georgian Colors, Harvard University Press, Cambridge, London, 2005, გვ. 29.

⁹ დაწერილობით საგარეო ფაქტორებზე იხ. ზ. ავალიშვილი, “საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში” (დაწერილია 1924 წელს), გამომცემლობა მხედარი, თბილისი, 2011, გვ. 77-90.

ფარგლებში) სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ. რუსეთში დეზორგანიზებული სოციალ-დემოკრატიის ფონზე საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა თავისი გზა აირჩიეს, მათ შორის ეროვნულ საკითხში სრული ეროვნული თვითგამორკვევის მხარდაჭერის კუთხით. შესაბამისად, ეროვნული ყრილობის ჩამოყალიბების პერიოდისათვის მთელმა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა (გარდა ბოლშევიკებისა, რომლებსაც სერიოზული გავლენა არ ჰქონდათ საზოგადოებაში) წინააღმდეგობებისა და დაპირისპირების გარეშე მიიღო დამოუკიდებლობის იდეა¹⁰.

სწორედ აღნიშნულმა ეროვნულმა საბჭომ, ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის პარალელურად 1918 წლის 26 მაისს¹¹, დღის 5 საათსა და 30 წუთზე გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის აქტი, აფუძნებდა რა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, აცხადებდა, რომ “დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა”. აქტის ბოლო მუხლში ჩანერილი იყო, რომ დამფუძნებელი კრების შეკრებამდე “...მთელს საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვებოდა ეროვნული საბჭო...”, რომელსაც შემდგომ საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

ახლად შექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავიდანვე აქტიურად დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით დემოკრატიული რეფორმების გატარება, ქვეყნის ფაქტობრივად თავიდან აღმშენებლობა და სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა¹². 1919 წელს დამფუძნებელი კრება (პარლამენტი) არჩეულ იქნა იმ დროისათვის ყველაზე უფრო დემოკრატიული საარჩევნო უფლებების გამოყენებით (მათ შორის, თანასწორი საარჩევნო უფლების, ქალთა არჩევნებში მონაწილეობისა და სხვა დემოკრატიული ელემენტების გამოყენებით). ამუშავდა საპარლამენტო მმართველობის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა მთავრობაზე პარლამენტის ეფექტურ კონტროლს, პარლამენტმა სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი 100-ზე მეტი კანონი მიიღო¹³, აღიარებული იქნა კერძო საკუთრება, დაიწყო უცხოელი ინვესტორები - სათვის ხელსაყრელი გარემოსა და კანონმდებლობის შექმნა, გატარდა აგრარული რეფორმა, დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმა, მათ შორის ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შე- მოღებისა და ქვედა დონის მოსამართლეების ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ არჩევის გათვალისწინებით. სწორედ ამის დაგვირგვინება იყო კონსტიტუციის მიღება.

რთული საგარეო ფაქტორების მიუხედავად, საქართველომ შეძლო საერთაშორისო ასპარეზზეც აღიარების მოპოვება. 1920 წელს იგი აღიარებული იქნა დასავლეთის დიდი სახელმწი-

¹⁰ იმ პერიოდში სოციალ-დემოკრატებისა და ნ. ჟორდანიას ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის სრულ მხარდაჭერაზე მაშინდელი ეროვნული მიმდინარეობის პოლიტიკოსი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა. იხ. გ.ქიქოძე, “ეროვნული ენერჯია”, გ. ცხაკაიას გამოცემა, თბილისი, 1917, გვ.138-141.
¹¹ აღსანიშნავია, რომ 1990 წლიდან სწორედ 26 მაისი აღინიშნება საქართველოში როგორც “საქართველოს დამოუკიდებლობის დღე”.
¹² Stephen Jones, On the anniversary of the Democratic Republic of Georgia, <http://matiane.wordpress.com/2009/08/30/stephen-jones-on-the-90th-anniversary-of-the-democratic-republic-of-georgia/>; აგრეთვე იხ. Karl Kautsky, “Georgia: A Social-Democratic Peasant Republic – Impressions And Observations”. Chapter IX, 1921. Translated: by H. J. Stenning and revised by the Author. Published: by International Bookshops Limited, London: <http://www.marxists.org/archive/kautsky/1921/georgia/ch05.htm>
¹³ იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990.
¹⁴ ზ. ავალიშვილი, “საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში” (დაწერილია 1924 წელს), გამოცემილია მხედარი, თბილისი, 2011, გვ. 281.

ფოების მიერ დე ფაქტოდ¹⁴, ხოლო 1921 წლის იანვარში – ამავე სახელმწიფოებისა და ერთა ლიგის მიერ – დე იურედ¹⁵. ეროვნულ საბჭოში (ისევე როგორც 1919 წლის თებერვალში პირდაპირი საარჩევნო წესით არჩეულ დამფუძნებელ კრებაში) აბსოლუტურ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, რომ მთავრობაც სოციალ-დემოკრატიების მიერ იქნა დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ 1918-1921 წლებში დაკომპლექტებული საქართველოს მთავრობა შეიძლება ევროპაში და მთელ მსოფლიოში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პირველ¹⁶ მთავრობად ჩაითვალოს. 1920 წელს საქართველოში მყოფი მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ცნობილი ბელგიელი საზოგადო მოღვაწე (შემდგომში ბელგიის პრემიერ-მინისტრი) კამილ ჰუისმანსი აღნიშნავდა კიდევ თავისი ქართველი კოლეგებისადმი მიმართვაში: “თქვენა ხართ ჩვენი იმედი. აქ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სათავეში არიან სოციალისტები...”¹⁷.

იმდროინდელი ხელისუფლების მიზანი და ამოცანა იყო სამხრეთ კავკასიაში სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, იმ სირთულეების მიუხედავად, რომელთაც ის აწყდებოდა. ევროპის სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი კარლ კაუტცი ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ წარმატებით დაწყებულ პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ რეფორმებზე საუბრისას ასევე აღნიშნავდა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზა სრულიად განსხვავდებოდა ბოლშევიკური რუსეთის არჩევანისაგან – დიქტატურის ნაცვლად ქვეყანა იმართებოდა დემოკრატიული გზით¹⁸. სამხრეთ კავკასიაში სანიმუშო დემოკრატიის შექმნა გარკვეულწილად რუსეთში ბოლშევიკური ტირანიის საპირწინა და ეფექტური ალტერნატივა უნდა ყოფილიყო. რამსეი მაკდონალდსის აზრით, “დღეისათვის იმაზე უფრო დიდი წინააღმდეგობა ბოლშევიზმისათვის, ვიდრე საქართველოს სოციალისტური მთავრობა არ არსებობს”¹⁹. თუმცა დღევანდელი გადასახე- დიდან ეს ციტატა ცოტაოდენ იდეალისტურად ჟღერს, რადგან მოგვიანებით ბოლშევიკების აგრესია საქართველოს წინააღმდეგ ვერ შეაჩერა საქართველოს მხრიდან მხოლოდ დემოკრატიული ფასეულობების დაპირისპირებამ.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 3 წლის განმავლობაში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობით იყო განპირობებული მთავრობის მიერ სწრაფ ტემპში გატარებული დემოკრატიული რეფორმები და დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ახალი კონსტიტუციის პროექტზე აქტიური მუშაობა. ახალი კონსტიტუციის ამოცანა იყო ახალი საქართველოს ამბიციების შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური

¹⁵ იგივე, გვ. 360.
¹⁶ სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობების პარტიები, სხვა პარტიებთან ერთად, შეიძლება მანამდეც იმყოფებოდნენ კოალიციურ მთავრობებში (მაგ., დიდ ბრიტანეთში, ლიბერალურ პარტიასთან), მაგრამ ქართული გამოცდილება პირველია, როცა მთავრობა ამ მიმდინარეობის მხოლოდ ერთი პარტიის – ქართველ სოციალ-დემოკრატების მიერ იყო დაკომპლექტებული.
¹⁷ გაზეთი “ერთობა”, 1920 წ., 1 ოქტომბერი, იხ. მ. მაკაბერიძე, “საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება”, თბილისი, 2008, გვ. 170-171.
¹⁸ Karl Kautsky, Georgia: A Social-Democratic Peasant Republic – Impressions And Observations. Chapter IX, 1921. Translated: by H. J. Stenning and revised by the Author. Published: by International Bookshops Limited, London: <http://www.marxists.org/archive/kautsky/1921/georgia/ch05.htm>.
¹⁹ რ. მაკდონალდსი, გაზეთი “Nation”, ოქტომბერი, 1920, იხილეთ: ვოლტერ ელიოტი, საქართველო და საბჭოები, წერილები რედაქტორებს, 27.09.1924; Wolter Elliot, Georgia and Soviets, letters to editors, The Times, 27.08.1924.

სისტემის ჩამოყალიბება. ეს კონსტიტუცია უნდა გამხდარიყო დემოკრატიული სახელმწიფოს სიმბოლო არა მარტო რეგიონში, არამედ მთელ ევროპაში. ეს ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე დამდგარი ქვეყნისათვის.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება დაიწყო “საქართველოს ეროვნული საბჭოს”(პარლამენტი) მიერ 1918 წლის ივნისში შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ. კომისია სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. მას თავიდან სოციალ-დემოკრატი ს. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა²⁰.

დამფუძნებელი კრების პირდაპირი და საყოველთაო (მათ შორის ქალთა სრული მონაწილეობით, ქონებრივი ცენზის არარსებობით და ა.შ.) არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-15 თებერვალს, რომლის შედეგადაც საპარლამენტო მანდატების დიდი უმრავლესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ერგო (130 მანდატიდან მოიპოვა 109 მანდატი), ხოლო დანარჩენი ეროვნულ-დემოკრატიებმა, სოციალ-ფედერალისტებმა და ესერებმა (სოციალისტ-რევოლუციონერები) მიიღეს (აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკებმა ხმების ძალიან მცირე რაოდენობა მიიღეს და არც ერთი მანდატი არ ერგოთ)²¹.

ახლად არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ შექმნა საკონსტიტუციო კომისია 15 წევრის შემადგენლობით, რომლის წევრთა უმრავლესობას კვლავ სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ. მასში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან შევიდნენ: რ. არსენიძე (კომისიის თავმჯდომარე), ს. ჯაფარიძე, პ. საყვარელიძე (არსენიძის იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შემდგომ იგი გახდა კომისიის თავმჯდომარე), ლ. ნათაძე, ვ. ჯაფარიძე, კ. ანდრონიკაშვილი, რ. ჩიხლაძე, მ. რუსია, გ. ფალავა და პ. წულაია; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – სპ. კედია და გ. გვაზავა; სოციალისტ-ფედერალისტებიდან – ი. ბარათაშვილი და გ. ლასხიშვილი; სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – ი. გობეჩია; ეროვნული პარტიიდან – გ. ვეშაპელი და დაშნაკებიდან – ტ. ავეტისიანი.

კონსტიტუციის ავტორები, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ ევროპაში სწავლისა და მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ, ბუნებრივია, კარგად იცნობდნენ იმ დროისათვის მსოფლიოში არსებული კონსტიტუციების ტექსტებს, მათ პრინციპებს და მათზე არსებულ კვლევებს. საკონსტიტუციო სფეროში გამოცდილებამ უდავოდ დიდი გავლენა იქონია ქართველ კანონმდებლებზე. კერძოდ, სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში იგრძნობა საერთო მიდგომები შვეიცარიის 1874 წლის, ბელგიის 1831 წლის, ამერიკის 1789 წლის, გერმანიის 1919 წლის, ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის, საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციებთან. იმ დროისათვის არსებული თითქმის ყველა კონსტიტუცია

ითარგმნა გამოიცა ქართულად და გამოიცა 1919-1920 წლების პრესაში, კერძოდ, გაზეთ “ერთობის” სხვადასხვა ნომრებში. ასევე, ცალკეული კონსტიტუციების რაობაზე ხშირად იწერებოდა სტატიები და მიმოხილვები იმდროინდელ ქართულ პრესაში საკონსტიტუციო კომისიის წევრებისა თუ სხვა იურისტების მიერ.

ახლად შექმნილი კომისიის მიერ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესს საკმაოდ დასჭირდა, რადგან კომისია ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო გამოცდილება შეესწავლა და, პარალელურად, მნიშვნელოვან საკითხებზე პოლიტიკურ კონსენსუსამდე მისულიყო. 1920 წლის ივლისში კონსტიტუციის პროექტი საჯაროდ გამოქვეყნდა განსახილველად. ხოლო 1920 წლის 20 ნოემბერს პარლამენტმა დაიწყო მისი განხილვისა და მიღების პროცედურა.

ამავე დროს რუსეთი კვლავ ცდილობდა ხელი შეეშალა საქართველოსათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. 1921 წლის თებერვალ-მარტში კი საბჭოთა რუსეთმა მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და შემდგომი ანექსია. რუსეთის არმიის შეტევის დაწყებამ რამდენადმე დააჩქარა კონსტიტუციური პროექტის გარკვეული ცვლილებებით მიღება 1921 წლის 21 თებერვალს. ამ დროისათვის კონსტიტუციის თითქმის ყველა თავი უკვე განხილული და მიღებული იყო პარლამენტის მიერ და დაწყებული იყო მუხლობრივი განხილვის პროცესი. მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მთელი კონსტიტუციის სწრაფად მიღება და სუვერენული ქვეყნის ამ კონსტიტუციით წარდგენა მსოფლიოსა და განსაკუთრებით მტრის წინაშე.

25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ დაიკავა თბილისი და საქართველოში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მთავრობა იძულებული გახდა, გადასულიყო დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვისპირა ქალაქ ბათუმში. სწორედ ამ ქალაქში, ნ. ი. ხვინგიას სტამბაში, პირველად დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ოფიციალური ტექსტი.

²⁰ მალხაზ მაცაბერიძე, “საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია”, შემუშავება და მიღება, თბილისი, 2008, გვ. 56.

²¹ სულ არჩევნებში მონაწილეთა 505 ათასზე მეტი ამომრჩეველიდან ბოლშევიკებმა მხოლოდ 800-მდე ხმა მიიღეს. იხ. საქართველოს დამფუძნებელი კრების ანგარიში, 1919 წლის 11 აპრილი, გვ. 31.

საქართველოს ოკუპაცია, ანექსია და კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება

1918-1920 წლებში რუსეთმა ირიბად თუ პირდაპირ რამდენჯერმე სცადა საქართველოში²² გამოეწვია შიდა არეულობა სოციალურ ნიადაგზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში თუ საქართველოს სხვა მხარეებში ეთნიკური შუღლის ინსცენირება მოეწყო. ამ მცდელობების ჩაშლისა და თვით რუსეთში გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობის გამო, რუსეთი იძულებული გახდა, დროებით, ხელი აეღო თავის განზრახვაზე და 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დაედო ხელშეკრულება, ელიარებინა მისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

თუმცა საბჭოთა რუსეთმა 1920 წელს მოახერხა რა აზერბაიჯანის (1920 წლის აპრილი) და სომხეთის (1920 წლის ნოემბერი) “გასაბჭოება” და ოკუპირება, აშკარა გახდა, რომ, მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა, მალე იგი საქართველოს დემოკრატიულ რეპუბლიკასაც შეუტევედა. საქართველოს ხელისუფლებას მაინც ჰქონდა იმედი, რომ რუსეთი არ დაარღვევდა 1920 წლის ხელშეკრულებას და ამით არ გამოიწვევდა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე თავის დისკრედიტაციას. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. საქართველოს 1920 წლის დეკემბერში ქ. ყენევაში გამართულ ერთა ლიგის სხდომაზე უარი ეთქვა (ორი მესამედის მხარდაჭერის აუცილებლობის ფონზე, მომხრე იყო 10, მოწინააღმდეგე – 13, 17-მა თავი შეიკავა) ერთა ლიგაში განევრიანებაზე²³. აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა დიდი სახელმწიფოების, კერძოდ, საფრანგეთისა და ინგლისის პოზიცია, რადგან ერთა ლიგაში განევრიანების შემთხვევაში ლიგა თავისი წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო, თავისი წევრი სახელმწიფოები დაეცვა გარე აგრესიისაგან. ამის პრაქტიკული რეალიზაციის საშუალებები კი ლიგის წამყვან სახელმწიფოებს რეალურად არ ესახებოდათ, მით უმეტეს ბოლშევიკური რუსეთის შესაძლო აგრესიის შემთხვევაში. ერთა ლიგის წევრებმა ეს საკითხი დროებით გადადეს, თუმცა სრულად დაუჭირეს მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას და როგორც ერთა ლიგამ, ისე დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა იანვარშივე აღიარეს საქართველოს დე იურე არსებობაც.

ქვეყნის შიგნით პოზიციების განმტკიცებისა და საერთაშორისო არენაზე არსებული მკვეთრი წინააღმდეგობის არქონის პირობებში, საქართველოს საერთაშორისო აღიარების მიუხედავად, 1921 წლის თებერვალში რუსეთმა დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულება და, ლორეს ოლქში მის მიერ ინსპირირებული “ამბოხებული მშრომელების დახმარების” საბაბით, სომხეთის მხრიდან საქართველოში შემოიჭრა²⁴. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობამ, იძულებული შეიქნა რა 25 თებერვალს დაეტოვებინა თბილისი და გადასულიყო ქ. ბათუმში, ბოლშევიკურ რუსეთთან დამარცხების ფონზე, 1921 წლის 17 მარტს ქ. ბათუმშივე ჩატარდა დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომა და მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. შესაბამისად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა.

საფრანგეთში მყოფი საქართველოს მთავრობა ცდილობდა, რომ ოკუპანტის მიმართ შიდა წინააღმდეგობებისა და დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერით, შეენწყვიტა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ. ნოე ჟორდანიას, მიმართავდა რა საერთაშორისო თანამეგობრობას ბრიტანული გაზეთის თაიმსის მეშვეობით (1922 წლის აპრილ-მაისში გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ბოლშევიკური რუსეთის მიწვევასთან დაკავშირებით), აღნიშნავდა: “თუ ევროპა ხმას არ ამოიღებს იმ საშინელ უსამართლობაზე, რასაც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ სჩადის, ამას ნებისმიერი დიდი სახელმწიფო მიიღებს თანხმობად, თავს დაესხას მეზობელ ქვეყნებს და დაიპყროს მათი ტერიტორიები”²⁵. მაგრამ იმდროინდელი საგარეო ვითარება რუსეთის აგრესიის აღკვეთის შესაძლებლობას აღარ იძლეოდა. დასავლეთის დიდი ქვეყნები და ერთა ლიგა მხოლოდ “სინანულსა და შეშფოთებას” გამოხატავდნენ რუსეთის ქმედებების მიმართ²⁶. 1924 წელს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით გამოსვლები, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მონაწილეობდა, სამხედრო ძალით ათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად იქნა ჩახშობილი.

კონსტიტუციონალიზმის შემდგომი განვითარება

მას შემდგომ გასაბჭოებულ საქართველოს სსრ რესპუბლიკას 4 კონსტიტუცია ჰქონდა “მიღებული” კომუნისტური პარტიისა და საბჭოების ჩამოყალიბებულ პრინციპებზე აგებული (1922, 1927, 1937, 1978), რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო დემოკრატიული მმართველობების მიერ აღიარებულ კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან და დაკანონებული ჰქონდათ კომუნისტური ერთპარტიული სისტემის არსებობა. ისინი ფაქტობრივად მათ წინმსწრებ სსრკ-ის კონსტიტუციების ასლს წარმოადგენდნენ.

1990 წელს პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებისა და ეროვნულ – განმათავი – სუფლებელი პოლიტიკური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ საქართველომ 1991 წელს სსრკ-ისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახლად არჩეულმა მრავალპარ-

²² Karl Kautsky, Georgia: A Social-Democratic Peasant Republic – Impressions And Observations. Chapter XII. The Bolshevik Invasion Translated: by H. J. Stenning and revised by the Author. Published: by International Bookshops Limited, London <http://www.marxists.org/archive/kautsky/1921/georgia/ch08.htm>

²³ ზ. ავალიშვილი, “საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 -1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში” (დაწერილია 1924 წელს), გამომცემლობა მხედარი, თბილისი, 2011, გვ. 350-351.

²⁴ მთლიანობაში 1921 წლის თებერვალ – მარტის ინტერვალში რუსეთის წითელი არმია, რომელიც ოთხი საჯარისო კორპუსისგან შედგებოდა, ერთდროულად დაიბრა ხუთი მიმართულებით. საქართველოს ორი ძირითადი დარტყმა მიაყენეს აღმოსავლეთიდან (აზერბაიჯანი) და სამხრეთ აღმოსავლეთიდან (სომხეთი). დანარჩენი სამი დარტყმა მოხდა ჩრდილოეთიდან – კავკასიის მთებიდან დარიალისა და მამისონის უღელტეხილების გავლით რაჭისა და ცხინვალის რეგიონების დაკავებით და შავი ზღვისპირეთიდან აფხაზეთზე შემოტევით.

²⁵ ნოე ჟორდანიას, The TIMES, 1922 წლის 21 მარტი.

²⁶ ცნობილი ბრიტანელი (შოტლანდიელი) პოლიტიკოსი ვოლტერ ელიოტი იმ პერიოდში ირონიულად აკრიტიკებდა კიდევ იმდროინდელ პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს რ. მაკდონალდს იმის გამო, რომ მან იცოდა რა რეალური სიტუაცია საქართველოში და იყო რა ერთ-ერთი პირველი დამცველი, ოცინი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბოლშევიკების აგრესიისაგან დაცვისა, იმ დროს, უკვე როგორც მთავრობის ხელმძღვანელი, მაკდონალდსი პოლიტიკური კონსტიტუციის გამო, ბოლშევიკური რუსეთის აღიარებასა და საქართველოს საკითხზე გაჩუმებას ამჯობინებდა. იხ. ვოლტერ ელიოტი, საქართველო და საბჭოები, წერილები რედაქტორებს, 27.09.1924; Wolter Elliot, Georgia and Soviets, letters to editors, The Times, 27.08.1924.

ტიულმა პარლამენტმა 1978 წლის კონსტიტუციაში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა და ამოიღო დებულებები საბჭოთა ერთპარტიული სისტემის შესახებ და სხვა ანტიდემოკრატიული დებულებების ამოსაღებად. თუმცა შიდა დაპირისპირებებისა და სამოქალაქო ომის შემდგომ ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო საბჭომ სახეშეცვლილი 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა²⁷.

1992 წლის 21 თებერვალს, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე. დეკლარაციის თანახმად საბჭო თვლიდა, რომ იურიდიულად 1921 წლის კონსტიტუციას მოქმედება არ შეუწყვეტია, რადგან კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად იგი ძალაშია “მუდმივ და შეუწყვეტილ”. შესაბამისად, ვინაიდან კონსტიტუციის მოქმედება უკანონოდ იქნა შეწყვეტილი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენამ განაპირობა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის აუცილებლობაც. ამიტომ საბჭო აცხადებდა, რომ “1. საქართველოს რესპუბლიკა დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აჭარისა და აფხაზეთის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით”²⁸.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ (რომელმაც 1992 წლის 10 მარტს თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და შექმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო) ამოქმედა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მას ფაქტობრივად არ უმოქმედია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდისათვის იგი ნაკლებად ასახავდა საქართველოში შექმნილ ფაქტობრივ პოლიტიკურ-სამართლებრივ მდგომარეობას. ყოველივე ეს ნიშნავდა იმას, რომ უნდა შემუშავებულიყო ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 1990-იანი წლების პოლიტიკურ-სამართლებრივი ვითარების გათვალისწინებით, შექმნიდა ახალ კონსტიტუციურ სივრცეს.

1992 წლის ოქტომბერში არჩეულმა პარლამენტმა 1993 წლის 16 თებერვალს კონსტიტუციის შესამუშავებლად შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ევალეობდა 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე მოემზადებინა ახალი კონსტიტუციის კონცეფცია და პროექტი²⁹. კომისიამ საბოლოოდ 1921 წლის კონსტიტუციის გადამუშავების ნაცვლად ახალი კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა, რადგან 1921 წლის კონსტიტუციის გადამუშავება 70 წელზე მეტი ხნის შემდგომ წარმოქმნილი ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობების გათვა-ლისწინებით გართულდებოდა³⁰.

²⁷ გიორგი პაპუაშვილი, “საპრეზიდენტო სისტემა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი”, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1999, მე-3 კვარტალი, გვ. 20.

²⁸ გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”, 1992 წლის 25 თებერვალი.

²⁹ გიორგი პაპუაშვილი, “საპრეზიდენტო სისტემა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი”, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1999, მე-3 კვარტალი, გვ. 22.

³⁰ 1992-1995 წლებში მოქმედებდა “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” კანონი, რომელიც დროებით ვაკუუმის შესავსებად ითვლებოდა, როგორც ე.წ. “მცირე კონსტიტუცია”.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დღეს მოქმედი კონსტიტუცია, რომლის პრეამბულაშიც პირდაპირაა აღნიშნული, რომ იგი ეყრდნობა “...ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას”³¹. ამრიგად, მოქმედ და 1921 წლის კონსტიტუციებს შორის არსებული მრავალი არსებითი განსხვავების მიუხედავად, მათ მაინც აერთიანებთ ერთგვარი მემკვიდრეობითობა, რომელიც, დაახლოებით 70 წლის მანძილზე, იძულებით იყო შეწყვეტილი საბჭოთა რუსეთის მიერ.

1995 წლის კონსტიტუციამ თანამედროვე პირობებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, განსაზღვრა ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპები, მმართველობის ფორმები, სახელმწიფოს მოწყობის ორგანიზაცია და ქვეყნისათვის სხვა ფუძემდებლური საკითხები.

კონსტიტუციის სტრუქტურა და იურიდიული ბუნება

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია შედგებოდა 17 თავისა და 149 მუხლისაგან. შედარებისათვის, დღეს მოქმედი კონსტიტუცია შედგება 9 თავისა და 109 მუხლისაგან³².

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციას ფაქტობრივად არ უმოქმედია, რთულია, დღევანდელი გადასახედიდან იმსჯელო, გაამართლებდა თუ არა იგი. მიუხედავად ამისა, მისი შინაარსის მუხლობრივი შესწავლა და გამოკვლევა საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ამ დასკვნების მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან 1921 წლის კონსტიტუციის ნორმებით აღიარებული ძირითადი პრინციპები და მის მიერ მონესრიგებული ურთიერთობების უმრავლესობა დღესაც აქტუალურია თანამედროვე კონსტიტუციური სამართლისათვის. ასევე შესაძლებელია, გავივლო მრავალი პოლიტიკურ-სამართლებრივი პარალელიც, როგორც იმდროინდელ და დღეს მოქმედ კონსტიტუციებს, ისე საქართველოს განვითარების მაშინდელ და დღევანდელ ეტაპებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, სამართლის ისტორიული ევოლუციის შედეგად შექმნილი კონსტიტუციების პირველ ტალღას განეკუთვნება. მისი მიღების პერიოდს ემთხვევა პირველი მსოფლიო ომის დასრულება და რუსეთის, ოსმალეთის, ავსტრო-უნგრეთის და სხვა იმპერიების ადგილზე ახალი სახელმწიფოების

³¹ კონსტიტუციის პირველად მიღებულ 1995 წლის ვარიანტში იყო სიტყვები “...1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს...”, ამჟამად მოცემულია მოქმედი 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებით შესული დღევანდელი რედაქცია.

³² 2011 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით.

წარმოქმნა, რომელთა უმრავლესობამაც იმ პერიოდში ახალი კონსტიტუციები მიიღო, მაგალითად, ავსტრიის, გერმანიის (ვაიმარის რესპუბლიკის), მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ბალტიის ქვეყნების და ევროპის სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციები.

თავისი ბუნებით 1921 წლის კონსტიტუცია უფრო “ხისტი” კონსტიტუციების რიგს მიეკუთვნება, რომლის გადასინჯვაც რთულ მექანიზმებს ითვალისწინებდა. კერძოდ, მასში ცვლილების შესატანად აუცილებელი იყო ჯერ პარლამენტის ნევრთა ხმების 2/3-ით მიღება და შემდგომ მისი ამოქმედებისათვის ამ ცვლილების რეფერენდუმზე დამტკიცება (მუხლი 24). პროექტის განხილვის დაწყება შეიძლებოდა პარლამენტში მისი შესვლიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ (მუხლი 6). აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი 1995 წლის კონსტიტუცია შედარებით მარტივ მექანიზმებს ითვალისწინებს. კერძოდ, პარლამენტის ნევრთა ორი მესამედის თანხმობას, ხოლო კონსტიტუციის ტექსტის განხილვის დაწყება მისი გამოქვეყნებიდან 1 თვეში არის შესაძლებელი³³.

კონსტიტუციის გადასინჯვა შესაძლებელი იყო ორ შემთხვევაში: პარლამენტის ნევრთა არანაკლებ ნახევრისა და 50000 ამომრჩევლის მოთხოვნით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის ცვლილება არ შეიძლებოდა გამხდარიყო კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგანი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დებულება იყო, იგი წარმოადგენდა დემოკრატიის დაცვის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ მექანიზმს. მისი კონსტიტუციური და ლეგიტიმური გზით შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა. კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი პავლე საყვარელიძე ამ დებულების აუცილებლობის დასაბუთებისას ასევე აღნიშნავდა ამგვარი ტიპის დებულებების არსებობას საფრანგეთის 1875 წლის (1884 წლის შესწორებით) და პორტუგალიის 1917 წელს მოქმედ კონსტიტუციებში³⁴. 1921 წლის კონსტიტუციით შეუძლებელი იყო დემოკრატიული პრინციპების ეჭვქვეშ დაყენება, როგორც ეს გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ მოხდა. ევროპის მრავალმა სახელმწიფომ (მაგალითად, გერმანიამ და ავსტრიამ) ამ შინაარსის დებულებებს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ნაციონალ-სოციალიზმისა და კომუნისტური ტოტალიტარიზმის “შიშის” გამო დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მიღებამდე მის ფუნქციას ასრულებდა 1918 წლის 26 მაისის “აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა”, რომელიც, თავის მხრივ, 7 პუნქტისაგან შედგებოდა. გარდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის განცხადებისა, დამოუკიდებლობის აქტში სხვა საკითხთა შორის დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ფორმად განსაზღვრულია დემოკრატიული რესპუბლიკა, ასევე ადამიანის უფლებათა პატივისცემა და უზრუნველყოფა. მართალია, დამოუკიდებლობის აქტი კონსტიტუციაში შეტანილი არ არის, მაგრამ მათი

³³ თუმცა კონსტიტუციის 2011 წლის ცვლილებით, 2013 წლიდან ამოქმედებული ნორმის შესაბამისად, ასევე საქმოდ გართულბულია კონსტიტუციამ ცვლილების შეტანის მიღების პროცედურა, კერძოდ, პროექტს მხარი კვლავ პარლამენტის წევრთა 3/4-მა უნდა დაუჭიროს, ოღონდ 2 თანმიმდევრულ სესიაზე, სულ ცოტა, 3 თვის ინტერვალით.

³⁴ ს. საყვარელიძე, განხილვები კონსტიტუციის პროექტზე, საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი, 1920.

ურთიერკავშირიდან გამომდინარე ის კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული პრინციპების უფრო დეტალური რეგლამენტირება კონსტიტუციამ მოახდინა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ აქტის კვლავ დადასტურება მოხდა 1919 წელს ახლად არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ.

ბუნებრივია, რომ 1921 წლის კონსტიტუციაზე იმ პერიოდის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მკვეთრი გავლენა იგრძნობოდა. სოციალ-დემოკრატები პარლამენტში დიდ უმრავლესობას ფლობდნენ და მთავრობაც მათ მიერ იყო დაკომპლექტებული. ამან კი აშკარა ასახვა პოვა კონსტიტუციის ტექსტშიც. განსაკუთრებით ეს სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ დებულებებს ეტყობა. მაგრამ მთლიანობაში იმ პერიოდის ქართველ სოციალ-დემოკრატთა შეხედულებებმა დადებითი როლი ითამაშა კონსტიტუციის დემოკრატიულ ბუნებაზე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოკრატიული რეფორმების გატარების კუთხით ისინი თავს ევროპული სოციალ-დემოკრატიის მიმდევრებად თვლიდნენ და ევროპაში დემოკრატიული ფასეულობების გაზიარებისაკენ ისწრაფოდნენ³⁵. ისინი ცდილობდნენ სოციალისტური იდეების გატარებას ევროპის დემოკრატიული ფასეულობების გზით, რომლებიც, ადამიანის უფლებებისა და კერძო საკუთრების დაცვას უზრუნველყოფდნენ³⁶.

კონსტიტუციის პროექტზე დისკუსიისას, ერთ-ერთ საჯარო პარტიულ შეხვედრაზე ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსმა სოციალ-დემოკრატიის იდეების თავსებადობასა და განუყოფლობას დემოკრატიასთან, ასევე აღნიშნა: სოციალ-დემოკრატები “სახელმწიფოს უყენებთ გარკვეულ ნათელ მიზანს: საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე გარდაქმნას. მაგრამ, როცა ამ მიზნისაკენ მივისწრაფით, მაშინ აუცილებლად უნდა გავიაროთ საჭირო პოლიტიკო-ეკონომიკური საფეხურები. ამ საფეხურებს ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ, ვერც ნახტომს გავაკეთებთ, ამის უფლებას ისტორია არ იძლევა...”, “ბოლშევიკებმა მოინდომეს დაბალ საფეხურიდან მაღალზე გადახტომა, ერთი შეხტომით ძველი რეჟიმის სამეფოდან სოციალიზმის სამეფოში შესვლა, გვერდი აუხვიეს დემოკრატიას, მოატყუეს ისტორია... დემოკრატიის უარყოფით მიიღეს არა სოციალიზმი, არამედ ვანდალიზმი”³⁷. კონსტიტუციის პროექტს გაეცნენ 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსული II ინტერნაციონალის დელეგაციის წევრები ვანდერველეს, რენოდელის, მაკდონალდის, შოუს, სნოუდენის, დებრიუკეს, ინგელსის, მარკეს, ჰაუსმანის და სხვათა შემადგენლობით, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ პროექტს და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნებიც გაუზიარეს. ცოტა მოგვიანებით, საქართველოს თითქმის 3 თვით ეწვია სოცინტერნისა და ევროპის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კარლ კაუცკი. კონსტიტუციის პროექტმა მასზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა³⁸.

³⁵ სტეფან ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა, კემბრიჯი, ლონდონი, 2005. Stephen F. Jones, Socialism in Georgian Colors, Harvard University Press, Cambridge, London, 2005. გვ. 61.

³⁶ იგივე. გვ. 283.

³⁷ “სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია”, ნ. ჟორდანიას მოხსენება, მოხსენება წაკითხული თბილისში 1918 წლის 4 აგვისტოს. გვ. 5.

³⁸ მალხაზ მაკაბერიძე, “საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება”, თბილისი, 2008, გვ. 170.

კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ყველაზე დიდ მიღწევად და მისი პროგრესულობის ძირითად ნიშნად ადამიანისა და მოქალაქის უფლებების ამსახველი კონსტიტუციური დებულებები შეიძლება ჩაითვალოს.

1921 წლის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ჩანს, რომ მისი ავტორები ცდილობდნენ, კონსტიტუციის მიღებით დაემკვიდრებინათ სამართლებრივი სახელმწიფო, თუ მაშინდელი ტერმინოლოგიით ვიხელმძღვანელებთ, “უფლებრივი სახელმწიფო”, როცა ადამიანისა და მოქალაქის ტრადიციული უფლებები პიროვნული თავისუფლების პრინციპს ემყარება.

ძალიან საინტერესო და იმ პერიოდისათვის ადამიანის უფლებათა მიმართ ლიბერალური მიდგომა დაფიქსირებული კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლებში, რომლებიც სასამართლოს გარეშე ადამიანის დაკავების შეუძლებლობას, ანუ ჰაბეას კორპუსის (*habeas corpus*) პრინციპს განსაზღვრავს. უფრო მეტიც, სხვა იმ პერიოდის დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, აღნიშნულ დებულებებში მოცემულია დაკავებული პირის სასამართლოში სავალდებულო წარდგენის კონკრეტული და უმოკლესი ვადები, კერძოდ, პირი სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში, ამ ვადის გაგრძელება კიდეც 24 საათით (ჯამში 48 საათი) შესაძლებელი იყო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ამას გარდა, კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლოს ეძლეოდა 24 საათი, რათა დაკავებულისათვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებინა ან პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციითაც ანალოგიური ვადებია განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლით გაუქმდა სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე, როგორც მშვიდობიან, ასევე საომარი მდგომარეობისას. კონსტიტუციის დონეზე აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება იმდროინდელი მსოფლიოსათვის ერთ-ერთ უპრეცედენტო ჰუმანურ იურიდიულ აქტს წარმოადგენდა. რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ, კერძოდ ბელგიამ, ლიხტენშტაინმა, ნორვეგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა სიკვდილით დასჯა მე-19 საუკუნეში გააუქმეს³⁹. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა გაუქმდა არა სრულად, არამედ კონკრეტულ საქმეებზე, ძირითადად საკანონმდებლო აქტებით და არა კონსტიტუციურ დონეზე⁴⁰. აქედან გამომდინარე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ხსენებული ჩანაწერი არათუ შეესაბამებოდა იმ პერიოდის ცივილიზებული სამყაროს სამართლებრივ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, არამედ საკმაოდ ნოვატორული მიდგომებითაც გამოირჩეოდა.

იმ პერიოდის სხვა დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, აღიარებულ იქნა რწმენისა და სინდისის თავისუფლება (მუხლი 31). კონსტიტუცია ერთმანეთისაგან მიჯნავდა ეკლესიასა და სახელმწიფოს. 144-ე მუხლით ფაქტობრივად აკრძალული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკლესიის დაფინანსება. მოგეხსენებათ, მოქმედი კონსტიტუციაც ერთმანეთისაგან მიჯნავს ეკლესიასა და სახელმწიფოს, თუმცა, ამავე დროს, აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში⁴¹.

კონსტიტუციაში ასევე ფართოდ იყო წარმოდგენილი მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები. პირველ რიგში აღსანიშნავია სიტყვისა და ბეჭდვითი მედიის თავისუფლება (მუხლი 32), ცენზურის გაუქმება და შეკრების თავისუფლება (მუხლი 33). კონსტიტუციის მე-3 თავი ასევე აღიარებდა საქმიანობის თავისუფლებას (მუხლი 36) და მუშათა გაფიცვის (მუხლი 38) უფლებას. ცალკე იყო გამოყოფილი პირადი და კოლექტიური პეტეციის უფლება (მუხლი 37).

45-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ “კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია არ უარყოფს სხვა გარანტიას და უფლებას, რომელიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან”. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელი და მხედველობაში მისაღებია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 39-ე მუხლი, რომელიც ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავს. ეს კიდეც ერთხელ ხაზს უსვამს იმ ერთგვარ მემკვიდრეობით კავშირს, რომელიც არსებობს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებსა და საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციას შორის. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს დებულება, აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების მსგავსია და, სავარაუდოდ, მისი შეტანის იდეაც სათავეს იქიდან უნდა იღებდეს.

1921 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელშიც აისახა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატების ყოფნის პირობებში გასაკვირი არ არის. ამასთანავე, ქართველი კანონმდებლები, რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ ხდებოდა რუსეთში კომუნისტური მმართველების მიერ პოპულისტური, სოციალური დაპირებების უხვად გაცემა და ამ ნაწილში გარკვეული “ჩამორჩენა” ბოლშევიკებისაგან ალბათ სასურველი არ უნდა ყოფილიყო.

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია იმ პერიოდისათვის უპრეცედენტო და, განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რთულად განსახორციელებელი და ზოგიერთ შემთხვევაში არარეალური გარანტიები, როგორებიცაა: უფასო დაწყებითი განათლება (მუხლი 110) და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საზრდო, “ჩასაცმელ-დასახურისა” და სასწავლო ნივთების უფასოდ გადაცემა. კონსტიტუციის 119-ე მუხლი კი

³⁹ იხ. ჯ. ხეჯურიანი, “დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ”, თბილისი 2006, გვ. 171.

⁴⁰ პორტუგალიის 1911 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით, ასევე გაუქმდა სიკვდილით დასჯა ყველა კატეგორიის საქმეზე, საქართველოს მსგავსად, როგორც მშვიდობიანი, ასევე საომარი მდგომარეობისას, ხოლო რუმინეთის 1866 წლის კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით კი, აღნიშნული სასჯელის ზომა გაუქმებულად გამოცხადდა მხოლოდ მშვიდობიან პერიოდში. ფაქტობრივად, აღნიშნული ჩანაწერები ევროპაში პირველი კონსტიტუციური რეგულირებები იყო საქართველოს პრეცედენტამდე. http://www.estig.ipbeja.pt/~ac_direito/Const_1911.pdf, <http://www.constitutia.ro/const1866.htm>

⁴¹ 1995 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

ადგენდა სოციალური დაცვის გარანტიებს უმუშევრად დარჩენილი პირებისათვის. მათ სახელმწიფო უნდა დახმარებოდა დასაქმებაში ან მიეცა შესაბამისი დახმარება დაზღვევის სახით (უმუშევრობის დაზღვევა). სამუშაო დრო კვირაში 48 საათით შეიზღუდა (მუხლი 123). კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ასევე ქალთა და არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დაცვის ვალდებულება. ამასთან, დამქირავებლის მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევა სისხლისამართლებრივად კი იდევნებოდა (მუხლი 127).

აღსანიშნავია საკუთრების უფლების კონსტიტუციური რეგულირება. კონსტიტუციის 114-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის შეიძლება და ისიც კანონით განსაზღვრული წესით. ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო სათანადო საფასურის გადახდა, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებდა.

კონსტიტუციის 115-ე და 116-ე მუხლებს საკმაოდ ულტრასოციალისტური ელფერი დაჰკრავს. კერძოდ, აღსანიშნავია სახელმწიფოს უფლება “კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია”. ასევე, სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა “წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის – შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან”.

მმართველობის სისტემა

პირველი ქართული კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის სისტემა იმ პერიოდისთვის პოპულარულ, ევროპული ტიპის საპარლამენტო სისტემათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ, თუმცა მრავალი თავისებურების გათვალისწინებით. მაგალითად, ვერ ვიტყვით, რომ კონსტიტუციით თანაბრად იყო დაბალანსებული ხელისუფლების სამივე შტო, რადგან მის კონსტრუქციაში არ იყო ჩადებული პარლამენტზე აღმასრულებელი ხელისუფლების ან პირიქით პარლამენტის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების სრულყოფილი მექანიზმები. მმართველობის სისტემის თავისებურებათა შორის, რაც განასხვავებდა მას იმ დროის სხვა საპარლამენტო სისტემებისაგან, შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე პრეზიდენტის (ან მონარქის, კონსტიტუციური მონარქის შემთხვევაში) ნეიტრალური ინსტიტუტის არარსებობა; მთავრობის მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაწესება; მთავრობის მიერ კრიზისების დროს პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობის არარსებობა და ა.შ.

⁴² ამ საკითხზე მსჯელობები იხილეთ პ.საყვარელიძე, “საქართველოს რესპუბლიკა”, 1920, 4 თებერვალი; აგრეთვე იხ. ნ. ჟორდანიას, “სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია”, მოხსენება წაკითხული თბილისში 1918 წლის 4 აგვისტოს, გვ 14-17.

⁴³ იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1990.

⁴⁴ <http://lexis.com>

კონსტიტუციის ავტორების მცდელობა იყო, გარკვეულწილად შერწყმულიყო შვეიცარიული პირდაპირი სახალხო დემოკრატიისა და წარმომადგენლობითი საპარლამენტო სისტემის ელემენტები⁴².

საკმაოდ პოპულარული იყო სახალხო სუვერენიტეტის პრინციპების გატარება კონსტიტუციაში, რაც რუსოს იდეებითა და შვეიცარიაში არსებული დემოკრატიის გამოცდილებით იყო განპირობებული. კერძოდ, კონსტიტუციის 52-ე მუხლის შესაბამისად, გატარებული იყო სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი – “ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს”. კონსტიტუციის ავტორები ამ პრინციპის აბსოლუტური გატარების არარეალურობას აცნობიერებდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა რომ ისინი ინარჩუნებდნენ წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს საპარლამენტო რესპუბლიკის ფარგლებში, თუმცა ცდილობდნენ, პარლამენტი და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიც სახალხო სუვერენიტეტის გარკვეული “მეთვალყურეობისა” თუ “კონტროლის” ქვეშ ჰყოლოდათ, რაც კონსტიტუციის სხვადასხვა დებულებაშიც ვლინდება.

საკანონმდებლო ხელისუფლება

კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ირჩეოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული კენჭისყრის საფუძველზე 3 წლის ვადით. ეს დებულება საკმაოდ პროგრესული იყო იმ პერიოდისათვის. მასში თანამედროვე დემოკრატიული საარჩევნო სისტემებისათვის დამახასიათებელი ყველა პრინციპი აისახებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მამაკაცთა თანასწორი ქალთა საარჩევნო უფლება.

აღსანიშნავია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, არჩევნების ჩატარების წესი 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული “დამფუძნებელი კრების არჩევნების” დებულებით⁴³ რეგულირდებოდა, რომლითაც მამაკაცებსა და ქალებს 20 წლის ასაკიდან თანაბრად ეძლეოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამ მოვლენის პროგრესულობაზე მიუთითებს ისიც, რომ აშშ-ში ქალების საარჩევნო უფლების თაობაზე კონსტიტუციური ცვლილება (ე.წ. XIX შესწორება) კონგრესის მიერ შეთავაზებული იქნა მხოლოდ 1919 წლის 4 ივნისს⁴⁴ და ძალაში 1920 წლის 18 აგვისტოს შევიდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აშშ-ში მაშინ არსებული 48 შტატიდან, 1920 წლის 18 აგვისტოსათვის, ამ ცვლილებას მხარი მხოლოდ 36-მა შტატმა დაუჭირა. მხოლოდ 1918 წლის 12 ნოემბრიდან სარგებლობენ ქალები არჩევნებში მონაწილეობის უფლებით გერმანიასა⁴⁵ და ავსტრიაში⁴⁶. გაერთიანებულ სამეფოში 30 წლის ასაკს მიღწეულ ქალებს საპარლამენტო

⁴⁵ 1918 წლის 30 ნოემბრის დადგენილება დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ. Verordnung über die Wahlen zur verfassunggebenden deutschen Nationalversammlung vom 30. November 1918. იხ. <http://www.documentarchiv.de/wr/1918/reichswahlgesetz.html>

⁴⁶ 1918 წლის 12 ნოემბრის კანონი გერმანია-ავსტრიის სახელმწიფოსა და მმართველობის ფორმის შესახებ. Gesetz vom 12. November 1918 über die Staats- und Regierungsform von Deutschösterreich, წყარო: Staatsgesetzblatt in retrodigitalisierter Form bei ALEX – Historische Rechts- und Gesetzestexte.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1918 წლის 6 თებერვლიდან მიეცათ (ამასთანავე გათვალისწინებული იყო ქონებრივი ცენზი)⁴⁷. კაცებს კი არჩევნებში მონაწილეობის უფლება 21 წლის ასაკიდან ჰქონდათ, კაცისა და ქალის საარჩევნო ასაკი მხოლოდ 1928 წლიდან გათანაბრდა⁴⁸. შვეიცარიაში ქალები არჩევნებში სრულფასოვან მონაწილეობას მხოლოდ 1971 წლის 7 თებერვალს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე მიღებული ცვლილებებით ახერხებენ⁴⁹.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, პარლამენტის არჩევა მხოლოდ პროპორციული სისტემის საფუძველზე იყო გათვალისწინებული. ამის ერთგვარ წინა პირობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იმ პერიოდისთვის ქვეყანაში პარტიული სისტემა საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, რაც იძლეოდა ამგვარი საარჩევნო სისტემის ეფექტური ფუნქციონირების შესაძლებლობას იძლეოდა. ამასთანავე, ბუნებრივია, რომ ამგვარი საარჩევნო სისტემა ხელს უწყობდა პოლიტიკურ პარტიებს უფრო წარმომრეზივინ და მეტი გავლენა ჰქონოდათ პოლიტიკურ სარბიელზე. კონსტიტუციის ავტორები მიიჩნევენ, რომ პროპორციული სისტემა უკეთ უზრუნველყოფდა ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენების უფრო ადეკვატურად წარმოდგენას პარლამენტში, ვიდრე ეს მაჟორიტარული სისტემით შეიძლებოდა მომხდარიყო⁵⁰.

პარლამენტი ქვეყნის უზენაეს ორგანოდ განიხილებოდა, თუმცა კონსტიტუციონალიზმის პრინციპების მსგავსად, აქაც განსაზღვრული იყო, რომ ის მოქმედებდა როგორც “სუვერენული სახელმწიფო” კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებდა “ერის ხელმწიფებას”, ხოლო ე.წ. საპარლამენტო უზენაესობის დაბალანსების მიზნით. პარლამენტის ხელისუფლება შეზღუდული იყო თვით კონსტიტუციით, რომლის პირველ მუხლშიც იგი “ძირითად კანონად” იყო აღიარებული, აგრეთვე სახალხო ინიციატივითა და რეფერენდუმის გზით.

პარლამენტის უფლებამოსილების ვადა კონსტიტუციაში სამი წლით განისაზღვრა. 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, არავის შეეძლო პარლამენტს მოწვევა ან დათხოვნა, მათ შორის არც მთავრობას (მით უმეტეს მონარქისა თუ პრეზიდენტის ინსტიტუტების არარსებობის პირობებში). ვინაიდან პარლამენტის დათხოვნის ინსტიტუტი კონსტიტუციით არ იყო გათვალისწინებული, ლოგიკურია, რომ თავად კონსტიტუცია განსაზღვრავდა (მუხლი 61) პარლამენტის არჩევნების ერთსა და იმავე დროს (შემოდგომაზე) დანიშვნის ვალდებულებას. თარიღის განსაზღვრა გამორიცხავდა არჩევნების დანიშვნის უფლების სახელისუფლებო შტოების დისკრეციის სფეროში დატოვებას. ყოველი სამი წლის შემდეგ, ახლად არჩეულ პარლამენტს მუშაობა პირველ ნოემბერს უნდა დაეწყო. საკონსტიტუციო კომისია აღნიშნავდა, რომ “იცვლება პარლამენტის შემადგენლობა ახალი არჩევნების საშუალებით, მაგრამ

მისი მოქმედება მუდმივია, იგი როგორც უზენაესი ბატონი ქვეყნისა, განუწყვეტელია. ცხადია, ამიტომ იგი არც თავად შეუძლია დაშლა და არც სხვა რომელიმე ძალას აქვს უფლება მისი დათხოვნისა”⁵¹.

კონსტიტუციის 54-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტის უფლებამოსილებაში შედიოდა: საკანონმდებლო საქმიანობა, შეიარაღებული ძალების “გამგებლობა”, ომის გამოცხადება, საზავო, სავაჭრო და მსგავსი ხელშეკრულებების დამტკიცება უცხო სახელმწიფოებთან, ამნისტიის საკითხების განხილვა, ბიუჯეტის დამტკიცება, საშინაო და საგარეო ვალის აღება, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო კონტროლი.

1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა თანამედროვე პარლამენტარიზმისთვის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებას, როგორცაა დეპუტატის ხელშეუხებლობა (მუხლი 48), ასევე კრძალავდა პარლამენტის წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას.

კონსტიტუციის 59-ე მუხლი ითვალისწინებდა მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე, მათ შორის, შეკითხვის დასმისა და საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ორგანიზაციისა და უფლებამოსილების მომწესრიგებელი კონსტიტუციური ნორმები იმ პერიოდისთვის საკმაოდ პროგრესული იყო, მათ მაინც აკლდათ პოლიტიკური კრიზისების გადაწყვეტის ქმედითი მექანიზმები, რაც, მაგალითად, პარლამენტის დათხოვნის უფლებაში უნდა ასახულიყო. თუმცა პარლამენტის ფართო უფლებამოსილებების ფარგლები, საერთო ჯამში, მიუთითებდა იმდროინდელი საქართველოს განსაკუთრებულ სწრაფვას საპარლამენტო დემოკრატიის განვითარებისაკენ.

აღმასრულებელი ხელისუფლება

1921 წლის კონსტიტუციით, აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქცია დაფუძნებული იყო მთავრობის პასუხისმგებლობისა და მორჩილების პრინციპზე, რაც საპარლამენტო სისტემისათვის არის დამახასიათებელი (“პრინციპი მორჩილებისა”) და რაც შვეიცარული, დემოკრატიასთან ყველაზე მიახლოებული სისტემიდან იყო გადმოღებული.

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება – რესპუბლიკის მთავრობა წარმოადგენდა კოლეგიას, რომელიც პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. საკონსტიტუციო კომისიის

⁴⁷ Representation of the People Act 1918, <http://www.parliament.uk/documents/upload/1918-rep-people-act.pdf>.

⁴⁸ Representation of the People (Equal Franchise) Act 1928, <http://www.parliament.uk/documents/commons-information-office/g01.pdf>.

⁴⁹ Frauen Macht Geschichte: frauen- und gleichstellungspolit. Ereignisse in der Schweiz 1848-1998, 2 Mappen, 1998-99, S. Hardmeier, Frühe Frauenstimmrechtsbewegung in der Schweiz, 1997, Y. Voegeli, in: Historisches Lexikon der Schweiz Schwabe, 2008.

⁵⁰ გიორგი გვაზავა, “ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა”, ტფილისი, 1920, გვ. 23-25.

⁵¹ მალხაზ მაცაბერიძე, “საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია”, თბილისი, 1996 წ., გვ. 81.

მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და უფლებამოსილებების მომწესრიგებელი თავის შემუშავებისას აქტიურად განიხილებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების საკითხი. პრეზიდენტის ინსტიტუტს მხარს ეროვნულ-დემოკრატიები უჭერდნენ⁵². მაგალითად, გრიგოლ ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის არშემოღება “მეტად მნიგნობრული და დოგმატიური იყო... თუ სადმე კი არის საჭირო საკმაო უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, ეს გახლავთ სწორედ საქართველო, რომელიც დღეს იმყოფება გამთლიანების პროცესში...”⁵³.

სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგი იყო, ასევე მას მხარს არ უჭერდნენ ესერები და ფედერალისტები. პრეზიდენტის ინსტიტუტის იდეის მოწინააღმდეგეთა აზრით, პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებით, ერთი პიროვნების ხელში ექცეოდა მთელი ძალაუფლება, რაც საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებას საქართველოში. კომისიის წევრები ამბობდნენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შტატების პრეზიდენტს ინგლისის მეფეზე მეტი უფლებები აქვსო. სავარაუდოდ, საპრეზიდენტო სისტემის შემოღება არ მოხდა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით: 1. რუსეთის მონარქია ახლად გაუქმებული იყო და ბოლო პერიოდის ნეგატიური გამოცდილებისა და ამ ფაქტისადმი წამყვანი პარტიების უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, გარკვეულწილად ერთპიროვნული მმართველობის დამყარების შიში არსებობდა, 2. სოციალ-დემოკრატებში პარტიის მართვის უფრო კოლეგიალური პრაქტიკა დამკვიდრდა, რომელშიც მრავალი ლიდერი იყო წარმოდგენილი (ჟორდანია, რამიშვილი, ჩხენკელი, წერეთელი, ჩხეიძე და სხვები) და როგორც წამყვან პოლიტიკურ ძალას ერთ ლიდერზე ორიენტირება არამიზანშეწონილად მიაჩნდა, 3. ამავე დროს, პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია, მიუხედავად პარტიაში მისი საკმაო გავლენისა, როგორც ჩანს, არ იყო ძალიან ქარიზმატული პიროვნება და გაითვალისწინა რა პარტიაში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება ამ ინსტიტუტისადმი, თვითონ წავიდა საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგ, რაც, საბოლოო ჯამში, საპრეზიდენტო ინსტიტუტის არშემოღების გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მაშინდელი საკონსტიტუციო კომისიის წევრთაგან არც ერთს, მათ შორის არც ეროვნულ-დემოკრატებს, არ ჰქონიათ წინადადება საუკუნეზე მეტი ხნის წყვეტის შემდგომ ქართული მონარქიის აღდგენის თაობაზე. 1921 წლის კონსტიტუციის აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმის თაობაზე გამართულ დებატებზე საუბრისას შეიძლება გარკვეული პარალელი გავავლოთ იმ დისკუსიებთან, რომლებიც გაიმართა როგორც 1995 წლის კონსტიტუციის მიღების პროცესში, ასევე კონსტიტუციაში 2004 და 2010 წლებში შეტანილი ცვლილებისას. 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველი ვერსიით, განისაზღვრა წმინდა

საპრეზიდენტო მართვა-გამგეობის ე.წ. “ამერიკული მოდელი”. 2004 წლის ცვლილებების შემდგომ, საპრეზიდენტო მოდელი ჩაანაცვლა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემამ, თუმცა პრეზიდენტის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებით, მათ შორის, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების კუთხით. 2010 წლის ცვლილებით კი მოხდა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის საპარლამენტო მოდელთან უფრო დაახლოება და აღმასრულებელი ხელისუფლებიდან პრეზიდენტის დისტანცირება. 1921 წლის კონსტიტუცია გარკვეული თავისებურებების მიუხედავად უდავოდ ითვალისწინებდა საპარლამენტო სისტემის არსებობას. ჩამოთვლილთაგან მმართველობის რომელი კონსტიტუციური მოდელი უფრო გამართლებულია შესაბამისი პერიოდების სოციალურ-ეკონომიკური, შიდა და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, თანამედროვე და მომავალი ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა და იურისტების დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს.

1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობას ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს იყო რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და მას პარლამენტი ირჩევდა. კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ზედიზედ არჩევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ორჯერ (აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ ვარიანტში იკრძალებოდა მთავრობის თავმჯდომარის მეორედ არჩევა). 1920 წელს საქართველოში მყოფი კაუციკი აკრიტიკებდა ამგვარ შეზღუდვას⁵⁴. დროთა განმავლობაში ასეთი მკაცრი შეზღუდვა, რომელიც არც ერთი საპარლამენტო სისტემისთვის არ იყო დამახასიათებელი, ალბათ პრობლემური გახდებოდა და შესაბამისი ცვლილების განხორციელება იქნებოდა საჭირო.

კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურისათვის (პრეზიდენტისათვის) დამახასიათებელი უფლებები ენიჭებოდა. მაგალითად, ელჩების დანიშვნა, სახელმწიფოს წარმომადგენლობა, შესაბამისი საფრთხეების არსებობისას შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლება, მაგრამ არა უმეტეს 21 დღისა, რის შემდეგაც საჭირო იყო პარლამენტის ნებართვა.

რაც შეეხება მთავრობის დანარჩენ წევრებს, მინისტრებს (მუხლი 68), მათ პარლამენტის მიერ დამტკიცებული მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავდა (“ინვეცია”). მინისტრებს კონსტიტუციის 69-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლება არ ჰქონდათ, დაეკავებინათ სხვა რომელიმე თანამდებობა. სრული შეუთავსებლობის პრინციპიდან ორი გამონაკლისი იქნა დაშვებული: პარლამენტის წევრობა და ადგილობრივი თვითმმართველობის “ხმოსნის” ადგილის შეთავსება.

⁵² გიორგი გვაზავა, “პირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა”, ტფილისი, 1920, გვ. 54.
⁵³ გრ. ლორთქიფანიძე, “პოლიტიკური ანდერძი (საქართველოს განვითარების გზები)”, 1925, გვ. 275.

⁵⁴ მ.მაკაბერიძე, “საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება”, თბილისი, 2008, გვ. 171.

საკონსტიტუციო კომისიის აზრით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის და-
ნერგვა მთავრობის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენდა. კერძოდ, რომელიმე მინის -
ტრისათვის უნდობლობის გამოცხადებას არ უნდა გამოეწვია მთელი კაბინეტის გადადგომა.
მათი აზრით, ამგვარად, საქართველო თავიდან აიცილებდა საპარლამენტო რეჟიმისათვის
დამახასიათებელ მთავრობის გუნდური პასუხისმგებლობის გამო გამონეულ ხშირ
სამთავრობო კრიზისებს (მაგალითისათვის ხშირად ასახელებდნენ საფრანგეთსა თუ ინ-
გლისში არსებულ ხშირ სამთავრობო კრიზისებს). აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის 73-ე
მუხლი განსაზღვრავდა მინისტრების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამ კონსტიტუციით
არ არსებობდა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, რაც დამახასია-
თებელია კლასიკური საპარლამენტო სისტემებისათვის. ინდივიდუალური პოლიტიკური
პასუხისმგებლობის პრინციპის დანესებით, პარლამენტის მიერ თითოეული მინისტრის
ინდივიდუალური გადაყენება შესაძლებელი იყო ისე, რომ მთავრობის თავმჯდომარეს
თავისი პოსტი შეენარჩუნებინა. მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა მოადგილე (მუხლი 71).
ეს უნდა ყოფილიყო გარანტი იმისა, რომ თვითონ მთავრობის თავმჯდომარის ინდივიდუა-
ლურად გადაყენების შემთხვევაში მთავრობას ფუნქციონირება არ შეეწყვიტა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლით, გარკვეულწილად, გათვალისწინე-
ბული იყო იმპიჩმენტის პროცედურა, კერძოდ, მთავრობის თავმჯდომარისა და წევრების
მიერ კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში, პარლამენტი უფლებამოსილი იყო პასუხის-
გებაში მიეცა ისინი.

როგორც ვხედავთ, პარლამენტისაგან განსხვავებით, აღმასრულებელი ხელისუფლების
კომპეტენციები უფრო სუსტად იყო ჩამოყალიბებული, ვიდრე ეს შესაძლებელია ყოფილიყო,
თუნდაც საპარლამენტო სისტემის პირობებში. თვით მთავრობის თავმჯდომარეს ფაქტობ -
რივად პრეზიდენტის მსგავსი უფლებამოსილებანი ჰქონდა, მაგრამ უფრო შეზღუდული
სახით. ასევე, საკმაოდ იყო შეზღუდული მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობრივი ვა-
დაც (1 წელი), ამასთან, მისი თანამდებობაზე არჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ იყო შესა-
ძლებელი. კონსტიტუციით, მთავრობას არ ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება,
რაც კონსტიტუციის ნაკლადაც კი შეიძლება განვიხილოთ, რადგან მთავრობას (აღმასრუ-
ლებელ ხელისუფლებას) უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ქვეყნისათვის აუცილებელი სამ -
თავრობო პოლიტიკის განსახორციელებლად საკანონმდებლო წინადადებით მიმართოს
პარლამენტს.

გარდა ამისა, 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ინდივიდუალური პასუხის-
მგებლობის ეს მექანიზმი საგრძნობლად განსხვავდებოდა სხვა საპარლამენტო სახელმწიფოების

ანალოგიური ინსტიტუტებისაგან. პარლამენტის ზედა პალატისა და პრეზიდენტის (თუ
მონარქის) ინსტიტუტის არარსებობა, რომლებიც შეძლებდნენ კრიზისების დროს ხელისუფ-
ლების ვაკუუმის შევსებას, შეიძლება განხილულ იქნეს ერთ-ერთ მიზეზად, რის გამოც არ
იქნა გათვალისწინებული კრიზისების არსებობის დროს მთავრობის კოლექტიური პასუხის-
მგებლობისა და დათხოვნის შესაძლებლობის ინსტიტუტის შემოღება.

ფინანსური კონტროლი

1921 წლის კონსტიტუციის მე-8 თავში განსაზღვრული იყო დღევანდელი კონტროლის პა-
ლატის იდენტური “სახელმწიფო კონტროლის” ინსტიტუტი, რომლის ფუნქციამაც შედიოდა
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის
ორგანოების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე კონტროლის განხორციე-
ლება. აღნიშნული უწყების ხელმძღვანელი ირჩეოდა პარლამენტის მიერ, დამოუკიდებელი
იყო მთავრობისაგან და პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე, 1918 წლიდან საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე მოქმედებდა ამგვარი ინსტიტუტი. მისი საქმიანობის
საფუძვლები განსაზღვრული იყო ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიერ 1918 წლის 6
დეკემბრის სპეციალური კანონით⁵⁵.

ტერიტორიული მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობა და ეროვნული უმცირესობები

სახელმწიფო – ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, 1921 წლის კონსტიტუცია ცნობ -
და “საქართველოს განუყოფლობას”. ეს იყო ერთგვარი ასიმეტრიული უნიტარიზმის მქონე
სახელმწიფო, რომელიც აღიარებდა ზოგიერთი კუთხის ავტონომიას. აღსანიშნავია რომ
უნიტარულ მოდელს მხარი დაუჭირა პარლამენტში წარმოდგენილმა ყველა პარტიამ, მათ
შორის ფედერალისტებმაც. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ უნიტარიზმის პირობებში
გათვალისწინებული იქნა ავტონომიების არსებობა და ძლიერი თვითმმართველობის და-
მკვიდრება. კერძოდ, კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის
განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის

⁵⁵ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1990, გვ. 112.

მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) ადგილობრივი, ავტონომიური მმართველობის უფლება ენიჭებოდათ.

საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული “აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების მიხედვით” (რომელიც კონსტიტუციის ამოქმედების შემდგომ უნდა მიღებულიყო), აფხაზეთის ავტონომიურ მმართველობას ექვემდებარებოდა: ადგილობრივი ფინანსები, სახალხო განათლება, ადგილობრივი საერო და საქალაქო თვითმმართველობა, სამომრიგებლო-სამოსამართლო დაწესებულება, პირადი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ადმინისტრირება, სახალხო ჯანმრთელობა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ადგილობრივი ბიუჯეტი და, საერთოდ, “ყოველი საქმე, რომელიც რესპუბლიკის კანონით აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაეცემა”.

ხაზგასასმელია კონსტიტუციის საკმაოდ დემოკრატიული წესით მოწესრიგებული ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებიც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. კონსტიტუციის 101-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველობის ორგანოები ირჩეოდა “საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით”. ამრიგად, მაშინდელ საქართველოში თავისუფალი პირდაპირი არჩევნები ყველა დონეზე იყო უზრუნველყოფილი. კონსტიტუციის ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რომ კონსტიტუციით გარანტირებული ყოფილიყო რეალური თვითმმართველობა და რომ “დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობისა”⁵⁶.

მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები 1921 წლის კონსტიტუციით მოწესრიგებული იყო კონსტიტუციითვე (უზენაესი აქტით) და არა მიმდინარე კანონმდებლობით. ეს მისასაღებელი ფაქტია, ვინაიდან შემდგომში 1985 წლის 15 ოქტომბერსაც კი ევროპის საბჭოს მიერ “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ევროპული ქარტიის მიღებისას ეს საკითხი პრობლემატური იყო, რაც აისახა კიდევ ქარტიის ტექსტზე, კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით: “ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული იქნება შიდა კანონმდებლობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით”. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებისთვისაც არ არსებობდა ამ საკითხთან მიმართებით საერთო კონსენსუსი და ალბათ ამან განაპირობა ქარტიის შესაბამის დებულებაში ამგვარი ფრთხილი ჩანაწერის გაკეთება. აქედან გამომდინარე, ეს გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პირველი ქართული კონსტიტუციის ღირსებას და მის სამართლებრივ დახვეწილობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები, კონსტიტუციის 98-ე მუხლის შესაბამისად, ძირითადად, მოცემულ ტერიტორიაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო

საქმეების გამგებლობით განისაზღვრებოდა. ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება ჰქონდა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით, გამოეცა “სავალდებულო დადგენილებები”. მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება ჰქონდათ, შეეჩერებინათ აღნიშნული დადგენილებები და განკარგულებები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კანონს, მაგრამ მათი გაუქმების საკითხი აუცილებლად სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეული იყო ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. ეროვნული უმცირესობების უფლებები კონსტიტუციის მე-14 თავში აისახა. ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს საკუთარ ენაზე სწავლისა და განვითარების უფლება ეძლეოდა, ისევე როგორც საკუთარი თვითმმართველობისა და კავშირების დაარსების შესაძლებლობა. თავიანთი უფლებების დასაცავად, მათ შორის აღნიშნული კავშირების საშუალებით, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, სასამართლოსათვის მიემართათ.

სასამართლო ხელისუფლება

მიუხედავად ამ საკითხისადმი შედარებით მცირე თავის მიძღვნისა, კონსტიტუციამ, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, განამტკიცა საკმაოდ პოზიტიური დებულებები. ამასთან, განისაზღვრა, რომ სასამართლოს მოწყობისა და ორგანიზაციასთან დაკავშირებული დეტალები დარეგულირებულიყო შესაბამისი კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა რის გამოც, კონსტიტუციაში შესაბამისი მარეგულირებელი დებულებების შედარებით მცირე ნაწილი აისახა.

კონსტიტუციის 76-ე მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი. იგი, იმავდროულად, წარმოადგენდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს. კონსტიტუცია გამო-რიცხავდა რაიმე დროებითი სასამართლოს შექმნას, რომელიც არ იქნებოდა საერთო სასამართლოს სისტემაში შემავალი მართლმსაჯულების ორგანო.

კონსტიტუციით გარანტირებული იყო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი. დაუშვებელი იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სასამართლოს განაჩენის გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება. ასევე, კონსტიტუციით განმტკიცებული იყო საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპი.

⁵⁶ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა. დამფუძნებელი კრება, 1-ლი დეკემბრის სხდომა. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 5 დეკემბერი.
⁵⁷ რატაციონირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2044 წლის №515 – III დადგენილებით, დოკუმენტი ხელმისაწვდომია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისათვის, კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა. ამ ინსტიტუტის შემოღება საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო და უზრუნველყოფდა საზოგადოების მონაწილეობას და ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. 1995 წლის კონსტიტუციაში ეს ინსტიტუტი გათვალისწინებული არ ყოფილა მანამ, სანამ 2004 წელს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელდა (ალბათ ეს ფაქტი სიმბოლური დატვირთვისაცაა და კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმდროინდელი საქართველოს კანონმდებლების წინასწარგანჭვრეტასა და პროგრესულობაზე, ვინაიდან 80 წელზე მეტი ხნის შემდეგაც ეს საკითხი აქტუალური გახდა და მას კვლავ დაუბრუნდნენ თანამედროვე კანონმდებლები).

აღსანიშნავია, რომ სასამართლო მოწყობისა და ორგანიზაციის, მათ შორის, ნაფიც მსაჯულთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მიღებამდე, კერძოდ, სახელმწიფო საბჭოსა და შემდგომში დამფუძნებელი კრების მიერ 1918-1921 წლებში⁵⁸.

საკონსტიტუციო კონტროლი

საკონსტიტუციო კონტროლის იდეები გარკვეულწილად მოცემულია კონსტიტუციის მე-8 და მე-9 მუხლებში, რომლებითაც განმტკიცებულია კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი და აღნიშნულია, რომ “არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია”. აღნიშნული ნორმებიდან ცალსახად იკვეთება როგორც კონსტიტუციის ამოქმედებამდე არსებული, ასევე მისი მიღების შემდგომ გამოცემული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის აუცილებლობა, რაც კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა კონსტიტუციური კონტროლის ორგანო, საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი, ამ ინსტიტუტის კლასიკური გაგებით, თავისი რეგლამენტირებული ფუნქციებითა თუ უფლებამოსილებებით (ისე, როგორც ეს ავსტრიასა და ჩეხეთში განხორციელდა 1920 წელს) 1921 წლის კონსტიტუციაში არ იყო განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული საკონსტიტუციო კონტროლის ბერკეტები მთავრობას, როგორც ჩანს, გააჩნდა. კერძოდ, კონსტიტუციის 72-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტით, მთავრობის ერთ-ერთ უფლებამოსილებად გათვალისწინებული იყო “თვალყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა”.

თუმცა ლოგიკურია, რომ ამგვარი ფუნქცია სასამართლოს კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს. საინტერესოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის აქტების გაუქმების უფლება ჰქონდა მხოლოდ სასამართლოს (მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს ჰქონდათ მხოლოდ ამ აქტების შეჩერების და სასამართლოში მათი გაუქმების მოთხოვნის წარდგინებით მიმართვის უფლება). აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში, მართალია, არ ხორციელდებოდა სრული საკონსტიტუციო კონტროლი, სამაგიეროდ, სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე ხორციელდებოდა სრული სასამართლო ზედამხედველობა, რაც გამოიხატებოდა სასამართლოს მიერ თვითმმართველობის ორგანოს აქტების კანონებთან შესაბამისობის შემოწმებაში.

ამასვე ადასტურებს კონსტიტუციის 77-ე მუხლით გათვალისწინებული უმაღლესი სასამართლოს – სენატის ფუნქცია, რომელიც მოვალეა “თვალყური ადევნოს კანონის დაცვას”. სენატის დებულების შესახებ 1919 წლის 29 ივლისის მიღებულ კანონში განსაზღვრული იყო, რომ სენატი თვალყურს ადევნებს კანონების დაცვას და მაღალი თანამდებობის პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცემული ყველა აქტის სისწორით აღსრულებას. ხოლო მათი კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში, სენატი ვალდებული იყო, შეეჩერებინა ან მთლიანად გაეუქმებინა ისინი. აგრეთვე, სენატის ფუნქციას წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციების თაობაზე დავის გადაწყვეტა.

ვინაიდან კონსტიტუციაში მრავლად მოიპოვებოდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პრინციპები და იდეები, ეს გვაფიქრებინებს, რომ ცალკე ამგვარი კონსტიტუციური ორგანოს სამომავლოდ შექმნა ან საერთო სასამართლოებისათვის კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციის მინიჭება ლოგიკური იქნებოდა, დამოუკიდებელ საქართველოს არსებობა რომ დასცლოდა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ეს ინსტიტუტი ქართველი კანონმდებლებისათვის უცხო არ იყო. ასე მაგალითად, კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა აღნიშნავდა, რომ “არის ერთი შემთხვევა, როცა მოქალაქეს უფლება ეძლევა არ დაემორჩილოს კანონს. ამ შემთხვევას ჰქვია **დავა კანონის კონსტიტუციურობაზე**. მოქალაქეს უფლება აქვს აღძრას სასამართლოში საკითხი იმაზე, თუ რამდენად კონსტიტუციურია ის კანონი, რომელიც ზღუდავს მის თავისუფლებას ან ემუქრება ამ შეზღუდვით. სასამართლო ვალდებულია შევიდეს ამ კითხვის განხილვაში და თუ დაინახა, მომჩივანის განცხადება საფუძვლიანია, შეუძლია უარი ჰყოს ის კანონი და არ იხელმძღვანელოს იმით სადავო საქმის გადაწყვეტაში”⁵⁹. იგივე გვაზავა, რომელიც იცნობდა როგორც დასავლეთ ევროპის, ასევე ამერიკის საკონსტიტუციო კონ -

⁵⁸ იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1990.

⁵⁹ გიორგი გვაზავა, “ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა”, ტფილისი, 1920 წ. გვ. 97.

ტროლის მექანიზმებს, ასევე აღნიშნავდა, რომ “სასამართლო ვალდებულია დაიცვას კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი, და უარჰყოს ყოველი ახალი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება მას. ამისთანა კონტროლის უფლება აქვს სასამართლოს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში...”⁶⁰.

იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ და იურიდიულ წრეებში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის პოპულარულობას ადასტურებს იმ დროის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწისა და იურისტის კ. მიქელაძის მოსაზრებებიც, რომლებიც მან თავის ნაშრომში კონსტიტუციის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით გამოთქვა. იგი ეყრდნობოდა რა ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას, ამტკიცებდა, რომ სასამართლოს როლი უნდა იყოს სხვა საქმეთა განხილვის გარდა “...საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული კანონების გასინჯვა იმ მხრივ, თუ ისინი რამდენად შეესაბამებიან კონსტიტუციას”⁶¹.

დასკვნა

ამრიგად, 1921 წლის კონსტიტუციის მოკლე ანალიზმა კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის აქტს წარმოადგენდა. როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონი, იგი აფუძნებდა წარმომადგენლობით დემოკრაციას და სახალხო სუვერენიტეტზე აგებულ დემოკრატიული მმართველობის სისტემას, მათ შორის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის უზრუნველყოფით. ადამიანის უფლებათა დებულებები ამკვიდრებდნენ იმ პერიოდის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროგრესულ, ადამიანის უფლებების დაცვასა და უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ მოწინავე ინსტიტუტებს.

⁶⁰ იგივე, გვ. 76.

⁶¹ კ. დ. მიქელაძე, “დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ”, თბილისი, 1918 წ., გვ. 47.

ამასთანავე, ეს დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სწრაფვას დემოკრატიული ყოფიერების დასამკვიდრებლად, მას შეეძლო მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინა ჩვენი ქვეყნისათვის მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში. თუმცა ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს დაპყრობისა და შემდგომი ანექსიის პირობებში კონსტიტუციას აღარ უმუშავია. მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარების გზაზე.

1921 წლის კონსტიტუციის მიღება, ბოლშევიკური რუსეთის ტირანიისაგან განსხვავებული – დემოკრატიული და ცივილიზებული გზის არჩევანის ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენდა. ამ არჩევანის დასაბუთებაზე საუბრისას, ნოე ჟორდანიას (დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში), თითქოს წინასწარ, გრძნობდა რა ახალი დემოკრატიული საქართველოს ბოლშევიკური რუსეთისაგან დაპყრობის შესაძლებლობას, აღნიშნავდა: “და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია აუცილებლად იტყვის – ჩვენ მივდიოდით სწორე გზით და გავაკეთეთ, რის გაკეთებაც კი შეგვეძლო”⁶².

გიორგი პაპუაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს თავმჯდომარე,
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

⁶² ნოე ჟორდანიას, “სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია”, 1918, თბილისი, გვ. 32.

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წელს, მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავესებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი


მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენილი რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდგეს თავსა საკუთარი საქმეების გაძლოდა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავესებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1) ამიერ-საქართველო ხელს შეკრულ უფლებს მტრებელსა და საქართველო სრულუფლებას დასაცავს საქალაქო.
2) დამოუკიდებლ საქართველოს საღვთო ფარს-ფეოდალური მტრული რუსული.
3) საქართველოს ომების საქართველო მტრული სახელმწიფო.
4) საქართველოს ფეოდალური მტრული რუსული საქართველოს ომების უფლებს დასაცავს საქალაქო და ქვეყნის.
5) საქართველოს ფეოდალური მტრული რუსული საქართველოს ომების უფლებს დასაცავს საქალაქო და ქვეყნის.
6) საქართველოს ფეოდალური მტრული რუსული საქართველოს ომების უფლებს დასაცავს საქალაქო და ქვეყნის.
7) საქართველოს ფეოდალური მტრული რუსული საქართველოს ომების უფლებს დასაცავს საქალაქო და ქვეყნის.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერის აქტი. 1919 წლის მარტის 12-ს. თბილისში.

1. ნ. ა. ბერიძე	2. ი. ბერიძე	3. ი. ბერიძე	4. ი. ბერიძე	5. ი. ბერიძე
6. ი. ბერიძე	7. ი. ბერიძე	8. ი. ბერიძე	9. ი. ბერიძე	10. ი. ბერიძე
11. ი. ბერიძე	12. ი. ბერიძე	13. ი. ბერიძე	14. ი. ბერიძე	15. ი. ბერიძე
16. ი. ბერიძე	17. ი. ბერიძე	18. ი. ბერიძე	19. ი. ბერიძე	20. ი. ბერიძე
21. ი. ბერიძე	22. ი. ბერიძე	23. ი. ბერიძე	24. ი. ბერიძე	25. ი. ბერიძე
26. ი. ბერიძე	27. ი. ბერიძე	28. ი. ბერიძე	29. ი. ბერიძე	30. ი. ბერიძე
31. ი. ბერიძე	32. ი. ბერიძე	33. ი. ბერიძე	34. ი. ბერიძე	35. ი. ბერიძე
36. ი. ბერიძე	37. ი. ბერიძე	38. ი. ბერიძე	39. ი. ბერიძე	40. ი. ბერიძე
41. ი. ბერიძე	42. ი. ბერიძე	43. ი. ბერიძე	44. ი. ბერიძე	45. ი. ბერიძე
46. ი. ბერიძე	47. ი. ბერიძე	48. ი. ბერიძე	49. ი. ბერიძე	50. ი. ბერიძე
51. ი. ბერიძე	52. ი. ბერიძე	53. ი. ბერიძე	54. ი. ბერიძე	55. ი. ბერიძე
56. ი. ბერიძე	57. ი. ბერიძე	58. ი. ბერიძე	59. ი. ბერიძე	60. ი. ბერიძე
61. ი. ბერიძე	62. ი. ბერიძე	63. ი. ბერიძე	64. ი. ბერიძე	65. ი. ბერიძე
66. ი. ბერიძე	67. ი. ბერიძე	68. ი. ბერიძე	69. ი. ბერიძე	70. ი. ბერიძე
71. ი. ბერიძე	72. ი. ბერიძე	73. ი. ბერიძე	74. ი. ბერიძე	75. ი. ბერიძე
76. ი. ბერიძე	77. ი. ბერიძე	78. ი. ბერიძე	79. ი. ბერიძე	80. ი. ბერიძე
81. ი. ბერიძე	82. ი. ბერიძე	83. ი. ბერიძე	84. ი. ბერიძე	85. ი. ბერიძე
86. ი. ბერიძე	87. ი. ბერიძე	88. ი. ბერიძე	89. ი. ბერიძე	90. ი. ბერიძე
91. ი. ბერიძე	92. ი. ბერიძე	93. ი. ბერიძე	94. ი. ბერიძე	95. ი. ბერიძე
96. ი. ბერიძე	97. ი. ბერიძე	98. ი. ბერიძე	99. ი. ბერიძე	100. ი. ბერიძე

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

- 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
- 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.
- 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალი სახელმწიფოა.
- 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით – კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
- 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნ-ველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა.
- 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
- 7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის თებერვლის 21

თავი პირველი ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა. საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

მუხლი 5.


ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია. სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 7.

ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.



მუხლი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა – გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთეს კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტილ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თავი მეორე მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

თავი მესამე მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია. ორდენი გაუქმებულია. საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თვისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

- ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას მიასწრებს;
- ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს;
- გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც; თუ დანაშაულის ადგილას მიახსნრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მისვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებული არიან, უკეთუ რაიმე გზით და საშვალეებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილებითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

მუხლი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 29.

კერძო მინერ-მონერა ხელშეუხებელია: მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს. სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული. სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუხლი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროდ და უიარალოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მუხლი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მუხლი 36.

გონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 37.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 40.

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას; ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან, დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა: აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

მუხლი 41.

პოლიტიკური დევნილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მუხლი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

მუხლი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, და 38, ომის დროს კი – 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

მუხლი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22, 25, 26 და 30 მუხლებში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მუხლი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

თავი მეოთხე პარლამენტი

მუხლი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის “საქართველოს პარლამენტი”, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს; შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მუხლი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მუხლი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 54.

პარლამენტის უფლებაა:

- ა) კანონმდებლობა;
- ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;
- გ) ომის გამოცხადება;
- დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარ ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;
- ე) ამნისტია;
- ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;
- ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;
- ც) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მუხლი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

მუხლი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მუხლი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მუხლი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მუხლი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა, წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით. პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია.

მუხლი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტს და თავის მოქმედების წესს.

მუხლი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მუხლი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადანწყვეტილებით. როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს. პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

მუხლი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:
ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და
ბ) 5, 000 ამომრჩეველს.

მუხლი 64.

თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმით ხალხს წარუდგინოს. რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდენტს.

თავი მეხუთე აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მუხლი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

მუხლი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან. განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული

ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისაებრ. თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა რაც, ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მუხლი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

მუხლი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

- ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;
 - ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;
 - გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;
 - დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;
 - ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;
 - ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.
- მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საქროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტიდან უნდა მიიღოს ნებართვა.
- ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა ბიუჯეტი;
 - ც) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ;
 - წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და
 - თ) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მუხლი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას. მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მუხლი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მუხლი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

**თავი მეექვსე
სასამართლო**

მუხლი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

- ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა, და
- ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მუხლი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა სწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები. სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 81.

მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბექდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მუხლი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

მუხლი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა – კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

თავი მეშვიდე სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დანესებულ
ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ
არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმართველობის გადასახადთა დანესების უფლებას
ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მუხლი 85.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მუხლი 86.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება
გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 87.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო
სესხი და ან რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მუხლი 88.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული.
ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 89.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის
დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი
ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს
პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის
ნებადაურთველად.

თავი მერვე სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 91.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;
- ბ) სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი და გასავალი;
- გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და
- დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მუხლი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის
წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ
პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მუხლი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

თავი მეცხრე სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა
კანონის თანახმად.

მუხლი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 97.

სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასანვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ
პარლამენტი ამტკიცებს.

**თავი მეთე
ადგილობრივი თვითმართველობა**

მუხლი 98.

ადგილობრივი თვითმართველობა არის ამავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 99.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა – გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 100.

ადგილობრივ თვითმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 101.

ადგილობრივი თვითმართველობა ირჩევს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მუხლი 102.

ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 103.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 104.

ადგილობრივი თვითმართველობა მართვა – გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

მუხლი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

**თავი მეთერთმეტე
ავტონომიური მმართველობა**

მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

**თავი მეთორმეტე
სწავლა-განათლება და სკოლა**

მუხლი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 110.

პირველდანიებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდანიებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდანიებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

თავი მეცამეტე სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 116.

წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის-შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მინის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მინის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, საშვამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღწესდებს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შენერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლათ რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 123.

ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტელივ 42 საათს.

გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობისა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმანვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში. არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა. თავი მეთოთხმეტე. ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი.

მუხლი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლიერად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საქმირობათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალეები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მუხლი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერო სამსახური.

მუხლი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა- განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მუხლი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

თავი მეთხუთმეტე სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 138.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 140.

თვითეული მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისაებრ. მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

თავი მეთექვსმეტე სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საქიროებისათვის აკრძალულია.

თავი მეჩვიდმეტე კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

- ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა, და
- ბ) 50 000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.


კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

მუხლი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობას ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

მუხლი 149.

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგივრობას გასწევს დამფუძნებელი კრება.



ნოე ჟორდანია (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში)



ნოე რამიშვილი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარე, შემდეგში შინაგან საქმეთა მინისტრი 1918-1921 წლებში)



საქართველოს იუსტიციის მინისტრები (1918-1921 წლები)



შალვა ალექსი-მესხიშვილი (1918-1919 წლები)
Shalva Aleksi Meshkishvili (1918-1919)



რაფიქ არსენიძე (1919-1921 წლები)



კაკი გვაჩვორი (1921 წელი)



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები, თებერვალი, 1919 წ.




ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ – 26 მაისი 1918 წელი, თბილისი.
 მარცხნიდან მარჯვნივ: შ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, გ. ლასხიშვილი, გ. ჟურული.



1919 წლის ოქტომბერი, ჟურნალმა "იმაჟმა" პარიზში სპეციალური ნომერი (N 221) მიუძღვნა საქართველოს. ჟურნალში გამოსახულნი არიან: ნ. ჟორდანია, მთავრობის თავმჯდომარე, ე. გუგუშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ნ. ჩხეიძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და მშვიდობის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე, კ. კანდელაკი, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ნ. რამიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ნ. ხომერიკი, მიწათმოქმედების მინისტრი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრები, 1919 წ.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სხდომა.
მთავრობის ლოგოში სხედან: ნოე ხომერიკი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, რაფაელ არსენიძე, ნოე ჟორდანია.
ხელმარცხნივ ჟურნალისტების ლოგოში სხედან: ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, სვიმონ მდივანი, ქრისტინე შარაშიძე.



68

69

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სხდომა.
პრეზიდიუმში: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე – ალექსანდრე ლომთათიძე,
მთავრობის ლოჟაში სხედან: ნოე ჟორდანიას – მთავრობის თავმჯდომარე, გიორგი ლასხივილი – განათლების მინისტრი,
შალვა ალექსი-მესხიშვილი – იუსტიციის მინისტრი, ევგენი გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა მინისტრი, ნოე ხომერიკი – მიწათმოქმედების მინისტრი,
ჟურნალისტთა ლოჟაში დგას მწერალი და ჟურნალისტი – ილია ზურაბიშვილი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სხდომა, 1919. პრეზიდიუმში მარცხნიდან: ..., ექვთიმე თაყაიშვილი – თავმჯდომარის მოადგილე, ალექსანდრე ლომთათიძე – კრების თავმჯდომარე, ..., კრისტინე შარაშიძე – მდივანი. სამთავრობო ლოჯაში: რაჭდენ არსენიძე – იუსტიციის მინისტრი, ევგენი გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა მინისტრი, ნიე ჟორდანია – მთავრობის თავმჯდომარე, ნიე ხომერიკი – მიწათმოქმედების მინისტრი, გრიგოლ ლორთქიფანიძე – სამხედრო მინისტრი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ზეიმზე ჩამოსული II ინტერნაციონალის დელეგაციის დახვედრა, 1920 წელი. სტუმრებს ხვდება:ან: ნოე ჟორდანიანი – მთავრობის თავმჯდომარე; ბენია ჩხიკვიშვილი – ქალაქის თავი და სხვები.



საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, 1919. ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია სტუმრად საქართველოში. მათ მიესალმება დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე.



74

ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია სტუმრად საქართველოში. სტუმრები ფარდებიან ლოჯაში. მათ მიესალმება დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე.



75

ევროპელ სოციალისტთა პირველი დელეგაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1920 წელი.
სხედან მარცხნიდან: ს. დედარიანი, ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანიას, კ. კაუცი, ლ. კაუციკისა, ს. უიბლაძე, რ. არსენიძე.
დგანან მარცხნიდან: ოლზერგი – კაუციკის მდივანი, ვ. თევზაია, კ. გვარჯალაძე, კ. საბახტარაშვილი, ს. თევზაძე, ურუშაძე და გრ. ცინცაძე.



76

ვერობელ სოციალისტთა დელეგაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1920.
ა. ინგელსის მიმართვა საზოგადოებასთან შეხვედრის დროს.



77

ვერობელ სოციალისტთა დელეგაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი, 1920.
II სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი, ლეიბორისტი - თომას შო საზოგადოებასთან შეხვედრის დროს.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წლისთავის ზეიმი, 1919 წელი. ფოტოზე არიან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.



რუსეთის წითელი არმიის მე-11 დივიზიის შემოსვლა თბილისში, რასაც საქართველოს ანექსია და საბჭოთა დიქტატის დამყარება მოჰყვა. 25 თებერვალი, 1921.



თბილისი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე. დარბაზი, სადაც იყო მიღებული პირველი საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წლის 21 თებერვალს.



ქ. ბათუმი. ამ შენობაში დაიბეჭდა საქართველოს 1921 წლის პირველი კონსტიტუცია.